# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №365

2014 წლის 30 მაისი

ქ.თბილისი

## „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

**მუხლი 1**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.

**მუხლი 2**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – აწარმოე საქართველოში, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის დადგენილება №180 - ვებგვერდი, 05.04.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

**მუხლი 2[1]**

აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის ორგანოებსა და მათი მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს დაევალოთ, ხოლო მუნიციპალიტეტებს, მათ მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებს ეთხოვოთ, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ან/და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მიმართვის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტ(ებ)ის შესრულების ხელშეწყობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*

*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის დადგენილება №180 - ვებგვერდი, 05.04.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №312 – ვებგვერდი, 01.07.2021წ.*

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

## სახელმწიფო პროგრამა
## „აწარმოე საქართველოში“

## თავი I

სახელმწიფო პროგრამის

„აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტება**

„სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის მიზნებისთვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პროგრამა** – „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილი;

ბ) **მეწარმე სუბიექტი** – ამ პროგრამის მიზნებისათვის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ფიზიკური პირი (მხოლოდ უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ნაწილში) და იურიდიული პირი გარდა:

ა.ა) სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა;

ა.ბ) შვილობილი/მშობელი კომპანიისა, თუ ისინი საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - სეკ 006-2016 (NACE-Rev-2) ერთსა და იმავე განყოფილებაში და თუ მათ მიერ აღებული სესხის/სალიზინგო პროექტის ღირებულება როგორც ცალ-ცალკე, ასევე ჯამურად აჭარბებს ამ დადგენილების მე-6 მუხლის მე-4, მე-5, მე-6 ან/და $6^1$ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ერთ ბენეფიციარზე ასათვისებელ მაქსიმალურ ჯამურ მოცულობას (გარდა უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტისა).

და რომელიც აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ დასახელებულ კრიტერიუმს:

ბ.ა) სახელმწიფოს მიმართ არ აქვს საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე);

ბ.ბ) არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

ბ.გ) არის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად III ან IV კატეგორიის საწარმო, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში (გარდა უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტისა).

ამასთან, პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ან/და „დ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის მეწარმე სუბიექტად ითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირი, ზემოთ დასახელებული „ბ.ა“ „ბ.ბ“ და „ბ.გ“ კრიტერიუმის დაკმაყოფილების გარეშეც;

გ) **პროგრამის ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელსაც ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში სააგენტოსგან დადასტურებული აქვს შესაბამისი სესხი/სალიზინგო პროექტი. ამასთან, მეწარმე სუბიექტი სააგენტოსგან შესაბამისი დადასტურების მიღების შემდეგ ბენეფიციარად მიიჩნევა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში პროექტის დამტკიცების თაობაზე კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ სააგენტოში შესაბამისი შეტყობინების წარდგენის მომენტიდან. პროგრამის ბენეფიციარად მიიჩნევა ამავე პროგრამის მე-7 მუხლის შესაბამისად უძრავი ქონების ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში ჩართული მეწარმე სუბიექტიც;

დ) **პროექტი** – პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული პროექტი;

დ[1]) **სალიზინგო პროექტი** – პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, ლიზინგის გამცემსა და მეწარმე სუბიექტს (ლიზინგის საგნის პოტენციურ მიმღებს) შორის

შეთანხმებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დადგენილი პერიოდულობით გადასახდელი საზღაურის სანაცვლოდ ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სალიზინგო საგნის გაცემას ამ საგნის შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, გარდა ისეთი სალიზინგო პროექტისა, რომლითაც ლიზინგის გამცემი მეწარმე სუბიექტისგან იძენს ლიზინგის საგანს, შემდგომ ამ უკანასკნელის მიერ მასზე საკუთრების უფლების დაბრუნების მიზნით ან/და ისეთი სალიზინგო პროექტისა, რა დროსაც ხდება ლიზინგის მიმღებისათვის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ან/და უძრავი ქონების ლიზინგით გადაცემა ან/და სალიზინგო საზღაურის გადახდა პროდუქციით;

დ[2]) **პროექტის თანადაფინანსება/სალიზინგო პროექტის თანადაფინანსება** – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მხრიდან კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის პროგრამით განსაზღვრული პირობებით დაფარვა;

დ[3]) **ლიზინგის საგნის ღირებულება** – ლიზინგით გადასაცემი ქონების საწყისი ღირებულება და დამატებითი მომსახურების ღირებულება (ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგანთან დაკავშირებით გაწეული ტრანსპორტირების, მართვის, დაზღვევის, საგარანტიო მომსახურების, რემონტის, სხვა მსგავსი მომსახურების, ქონების და ამ ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებისათვის გადახდილი/გადასახდელი გადასახადების ღირებულება), ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი;

დ[4]) **ლიზინგის საგანი** – პროგრამის ფარგლებში ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე ლიზინგით გაცემული ქონება;

ე) **უძრავი ქონება** – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობით (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) ან მის გარეშე, ასევე ხაზობრივი ნაგებობა, რომელთა ნუსხა ქვეყნდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ  ვებგვერდზე;

ვ) **კომერციული ბანკი** – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომერციული ბანკ(ებ)ი, რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში, პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება;

ვ[1]) **ლიზინგის გამცემი** – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სალიზინგო პროექტს (ლიზინგით გასცემს ლიზინგის საგანს) და რომელთანაც პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება.

ზ) **სამინისტრო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

თ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

ი) **ქონების სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;

კ) (ამოღებულია - 02.08.2021, №391);

ლ) **სესხის რეფინანსირება** – პროგრამის ბენეფიციარის მიერ მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე კრედიტის გადაფარვა იმავე ან სხვა კომერციულ ბანკში აღებული რეფინანსირების კრედიტით, რომელიც არ აჭარბებს გადასაფარი კრედიტის დამტკიცებულ მოცულობას და მოიცავს მხოლოდ გადასაფარი კრედიტის ძირსა და კრედიტზე არსებულ დამტკიცებულ, აუთვისებელ თანხას. ამასთან, დამტკიცებული, აუთვისებელი თანხა თავის მხრივ

უნდა გაიცეს ამ დადგენილების მე-6 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული მიზნობრიობით;

ლ[1]) **სალიზინგო პროექტის რეფინანსირება** – პროგრამის ბენეფიციარის მიერ მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე სალიზინგო პროექტის შესაბამისი ლიზინგის საგნის ღირებულების ნარჩენი თანხის გადაფარვა იმავე ან სხვა ლიზინგის გამცემთან 6[1] მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ახალი სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების გზით;

მ) **სასტუმრო** – შენობა ან/და შენობა-ნაგებობათა ერთობლიობა, თავისი ინფრასტრუქტურით, რომელიც პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროდ/სასტუმრო კომპლექსად. ასევე შენობის ერთი ან რამდენიმე ნაწილი, ერთად ან ცალ-ცალკე, რომელშიც პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროს არანაკლებ 10 (ათი) ნომრისა, დანართ №3-ის შესაბამისად;

ნ) **საერთაშორისო ბრენდი** – სასაქონლო ნიშანი, რომლითაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ოპერირებს არანაკლებ 15 (თხუთმეტი) სასტუმრო ან/და სასაქონლო ნიშანთა მმართველი კომპანია/ჯგუფი (უცხოური საწარმო), რომელიც ოპერირებს საქართველოს გარდა არანაკლებ 50 სასტუმროთი, რომელთანაც მეწარმე სუბიექტს გაფორმებული აქვს საერთაშორისო ბრენდის გამოყენების ან/და სასტუმროს მმართველი უცხოური საწარმოს სასაქონლო ნიშნის სარგებლობისთვის განსაზღვრული ხელშეკრულება;

ო) **სასტუმრო ინდუსტრია** – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, დანართ №3-ით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე;

ო[1]) **ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია** – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, დანართ №4-ით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე;

ო[2]) **ტურისტული სერვისები** – თემატური პარკების ან/და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულება, რომელიც ხორციელდება დანართ №5-ის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო პირობებით და რომლის ფარგლებშიც დამატებით საქმიანობად შეიძლება განისაზღვროს დანართ №5-ში მოცემული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი:

ო[2].ა) **თემატური პარკები** – გარკვეული თემატიკით შექმნილი გასართობი პარკების სახეობა, რომელიც მოიცავს ეთნო/ეთნოგრაფიულ პარკსა და ვეიკ პარკს (Wake park):

– **ეთნო/ეთნოგრაფიული პარკი** – ხელოვნურად შექმნილი ავთენტური დასახლების იმიტაცია, დამახასიათებელი არქიტექტურითა და ინფრასტრუქტურით, რომელიც წარმოაჩენს გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ქვემოთ მოცემული ცხოვრების სტილისა და ეთნოგრაფიული მახასიათებლებიდან ერთ-ერთს მაინც: ცხოვრების წესი, სამზარეულო, რელიგია, ტრადიციული სამოსი;

– **ვეიკ პარკი (Wake park)** – წყლის თხილამურებით/წყლის დაფით სრიალისთვის, სერფინგისა და სხვა სათავგადასავლო წყლის აქტივობებისთვის შექმნილი, არანაკლებ 3 (სამი) ჰექტარის ფართობზე განთავსებული პარკი, რომელიც დამატებით უნდა მოიცავდეს ისეთ სერვისებს, როგორიცაა: კვების ობიექტი ან/და საწყლოსნო სპორტის სახეობების ინვენტარის მაღაზია ან/და სპორტსკოლა და ა. შ.;

ო[2].ბ) **სათავგადასავლო ტურიზმი** – ტურიზმის სახეობა, რომელიც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) განმარტებით, ჩამოთვლილი სამი ელემენტიდან მოიცავს, სულ მცირე, ორ ელემენტს: ფიზიკურ აქტივობას, ბუნებრივ გარემოში/ბუნებაში ყოფნასა და კულტურულ ელემენტს. აღნიშნული მოიცავს: სახმელეთო ტურიზმის სახეობებს, საწყლოსნო ტურიზმის სახეობებს, საჰაერო ტურიზმის სახეობებს;

პ) **უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება** – დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნის საფუძველზე დადგენილი უძრავი ქონების ფასი;

ქ) **პარალელური კრედიტი/პარალელური სალიზინგო პროექტი** – კრედიტის გამცემის/ლიზინგის საგნის გამცემის მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ერთსა და იმავე ინდუსტრიაში, ერთსა და იმავე ბენეფიციართან შეთანხმებული ერთზე მეტი პროექტი/სალიზინგო პროექტი;

რ) **სასტუმროს გაფართოება/გადაიარაღება** – ამ მუხლის „ო“ ან/და „ო[1]“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, არანაკლებ 10 (ათი) სასტუმრო ნომრის დამატება დანართ №3-ის ან/და დანართ №4-ის შესაბამისად;

ს) **გუდვილი** – ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS 3) შესაბამისად განსაზღვრული გუდვილი;

ტ) **საქმიანობის/წარმოების დაწყება** – პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტით/საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნობრივი ოპერირების დაწყება, როგორც ახალი სესხის/სალიზინგო პროექტის აღების შემთხვევაში, ასევე გაფართოვება/გადაიარაღების შემთხვევაში;

უ) **შემოსავალი** – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული შემოსავალი;

ფ) **შვილობილი კომპანია** – მეწარმე სუბიექტი, რომელშიც პროგრამის ბენეფიციარი ფლობს წილის 50 ან მეტ პროცენტს;

ქ) **მშობელი კომპანია** - მეწარმე სუბიექტი, რომელიც ფლობს პროგრამის ბენეფიციარის წილის 50 ან მეტ პროცენტს.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №661 - ვებგვერდი, 08.12.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 იანვრის დადგენილება №3 – ვებგვერდი, 16.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №646 - ვებგვერდი, 29.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება №99 - ვებგვერდი, 01.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №132 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 ივნისის დადგენილება №291 - ვებგვერდი, 01.07.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის დადგენილება №180 - ვებგვერდი, 05.04.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის დადგენილება №446 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 2. პროგრამის მიზანი და აღწერა**

1. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებსა და უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით.

2. პროგრამა მოიცავს ორ კომპონენტს:

ა) ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი;

ბ) უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი.

3. პროგრამის ფარგლებში კომპონენტები მეწარმე სუბიექტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც ცალ-ცალკე ისე ერთობლივად. მეწარმე სუბიექტი ინდუსტრიული ნაწილის ორივე კომპონენტით ერთობლივად სარგებლობის შემთხვევაში, მისი საქმიანობის კოდი უნდა შეესაბამებოდეს დანართ №1-ში და დანართ №8-ში მოცემული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალს.

4. „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიღებული კრედიტ(ებ)ით

დაუშვებელია, დაფინანსდეს შემდეგი სახის საქმიანობა:

ა) გუდვილის შეძენა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების (გარდა პროგრამის მე-4 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინდუსტრიებისა და სპეციალური საშუალებებისა, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება საწარმოს ტერიტორიაზე პროდუქციის/მომსახურების წარმოების პროცესში. ამასთანავე, პროგრამის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში დასაშვებია ბალნეოლოგიური კურორტის მახასიათებლიდან გამომდინარე მხოლოდ იმ დამხმარე სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, რომლებიც განკუთვნილია კურორტზე განთავსებულ სასტუმროს ტერიტორიაზე შიდა გადაადგილებისათვის, ხოლო პროგრამის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში დასაშვებია მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, რომლის მართვა/რომლითაც გადაადგილებაც კი დამოუკიდებლად ატარებს ტურისტული ატრაქციის ხასიათს, მათ შორის, საჰაერო ან/და მცურავი საშუალება) შეძენა, რემონტი;

გ) მხოლოდ საოფისე ფართის (ადმინისტრაციული შენობის) მშენებლობა, რემონტი, აღჭურვა;

დ) სახელმწიფო ან/და კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენა (ამ პროგრამის მე-7 მუხლით განსაზღვრული უძრავი ქონების გარდა) ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით დროებით სარგებლობაში აღება;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირის აქციების ან წილების შეძენა ან მართვაში აღება.

5. „სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კრედიტ(ებ)ი/სალიზინგო პროექტები გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 3. უფლებამოსილებათა განაწილება პროგრამის განხორციელებისთვის**

1. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს მის სისტემაში შემავალი, ამ პროგრამის მონაწილე საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ამ პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას.

2. სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დამტკიცებული პროექტებისათვის უზრუნველყოფს:

ა) კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე/სალიზინგო პროექტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას პროგრამით განსაზღვრული პირობებით;

ბ) ინდუსტრიული ნაწილის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში პროგრამის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას;

გ) საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსებას. ამასთან, სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში (მიუხედავად მისი შესაბამისი თავებისა) საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების გამოყენების შესაძლებლობა პროგრამის ბენეფიციარს აქვს მხოლოდ ერთხელ.

3. სააგენტოსა და კომერციულ ბანკს/ლიზინგის გამცემს შორის პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის განხორციელების მიზნით, ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები.

4. პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, ქონების სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ პროგრამის დანართ №8-ით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების

განხორციელებას უძრავი ქონების მეწარმე სუბიექტისთვის გადასაცემად.

5. (ამოღებულია - 02.08.2021, №391);

6. (ამოღებულია - 02.08.2021, №391);

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №757 – ვებგვერდი, 21.12.2020წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 4. პროგრამის მიმართულებები**

1. პროგრამის ინდუსტრიული კომპონენტის მიმართულებები განისაზღვრება ამ პროგრამის თანდართული დოკუმენტების შესაბამისად, კერძოდ:

ა) ინდუსტრიები – №1 დანართის შესაბამისად;

ბ) კინოინდუსტრია – №2 დანართის შესაბამისად განსაზღვრული კვალიფიციური ხარჯების ფარგლებში;

გ) სასტუმრო ინდუსტრია – №3 დანართით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;

დ) ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია – №4 დანართით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;

ე) ტურისტული სერვისების ინდუსტრია – №5 დანართით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად;

ვ) ინდუსტრიები უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ნაწილში – №8 დანართის შესაბამისად.

2. (ამოღებულია - 02.08.2021, №391);

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 ივლისის დადგენილება №453 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის დადგენილება №558 – ვებგვერდი, 22.09.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №587 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №661 - ვებგვერდი, 08.12.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №757 – ვებგვერდი, 21.12.2020წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 5. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი**

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი მოიცავს კრედიტის, ლიზინგისა და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულებებს. ამასთან, სასტუმრო ინდუსტრიასა და ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიაში კრედიტის/ლიზინგის/საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ სასტუმროს მესაკუთრე მეწარმე სუბიექტის მიერ, ხოლო ინდუსტრიების და ტურისტული სერვისების ინდუსტრიის ფარგლებში კრედიტის/ლიზინგის გამოყენება დაშვებულია ბიზნესის განხორციელების ადგილის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით სარგებლობაში მქონე მეწარმე სუბიექტთა მიერაც. კრედიტისა და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების, ასევე კრედიტისა და ლიზინგის ან ლიზინგისა და საერთაშორისო ბრენდის მიმართულებებით სარგებლობა შესაძლებელია როგორც ერთდროულად, ასევე ცალ-ცალკე.

2. კრედიტის/ლიზინგის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით.

2[1]. ბენეფიციარის მხრიდან კრედიტისა და ლიზინგის კომპონენტით სარგებლობის მაქსიმალური ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ამ დადგენილების მე-6 და 6[1] მუხლებით დადგენილ სესხის/სალიზინგო პროექტის მაქსიმალურ მოცულობებს.

3. კრედიტის/ლიზინგის მიმართულების ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დაწყება, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 2 წლისა, ხოლო არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში – პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 12 თვისა;

ბ) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიებში, საერთაშორისო ბრენდის გამოყენების შემთხვევაში, საქმიანობის დაწყება კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლისა, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე, საქმიანობის დაწყებას ან/და არსებულის გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 2 წლისა;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების დასრულების შემდგომ 2 წლის განმავლობაში, წარმოების პროფილის შენარჩუნება;

დ) მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების შშმ პირების შეუფერხებელი დაშვება პანდუსების ან/და მსგავსი საშუალებების გამოყენებით;

ე) თანამშრომელთა შერჩევის ეტაპზე, ერთი და იმავე კვალიფიკაციის კანდიდატებს შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ(ებ)ისათვის უპირატესობის მინიჭება;

ვ) სესხის/სესხის პირველი ტრანშის (რომელიც არ უნდა იყოს ამ დადგენილების მე-6 მუხლის მე-4, მე-5 ან მე-6 პუნქტებით დადგენილ სესხის მინიმალურ მოცულობაზე ნაკლები) ათვისება სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში. ამ ვადის დარღვევით სესხის/სესხის ტრანშის გაცემის შემთხვევაში სააგენტო არ განახორციელებს ამ სესხზე თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვას, ამ შემთხვევაში დასახელებული მეწარმე სუბიექტი კარგავს პროგრამის ბენეფიციარის სტატუსს და უფლებამოსილია, პროგრამით სარგებლობის თაობაზე ხელახლა მიმართოს კომერციულ ბანკს ამ დადგენილების მე-6 მუხლით დადგენილი წესის დაცვით;

ზ) სესხის სრული ათვისება სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 2 წლის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სესხის დარჩენილი ნაწილის ათვისების შემთხვევაში, სააგენტო განახორციელებს მხოლოდ სესხის იმ ნაწილზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსებას, რომელიც გაცემულია დადასტურებიდან არაუგვიანეს 2 წლის ვადაში;

თ) განახორციელოს სალიზინგო პროექტით განსაზღვრული თანამონაწილეობის თანხის გადახდა სალიზინგო კომპანიის წინაშე სალიზინგო პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში. ამ ვადის დარღვევით თანამონაწილეობის თანხის გადახდის შემთხვევაში სააგენტო არ განახორციელებს ამ სალიზინგო პროექტზე თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვას. რის შემდგომაც დასახელებული მეწარმე სუბიექტი კარგავს პროგრამის ბენეფიციარის სტატუსს და უფლებამოსილია, როგორც მეწარმე სუბიექტმა პროგრამით სარგებლობის თაობაზე ხელახლა მიმართოს ლიზინგის გამცემს ამ პროგრამით დადგენილი წესის დაცვით.

3[1]. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის შშმ პირთა სტატუსის დადგენისათვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული, შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. საერთაშორისო ბრენდის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისთვის ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან 24 თვის განმავლობაში დარიცხული და ამ პერიოდზე 29 თვის მანძილზე გადახდილი გადასახადის ანაზღაურებას, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული თვის განმავლობაში სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა აღემატება წელიწადში 300 000 (სამასი ათასი) ლარს, ამ პროგრამის საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება გავრცელდება მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე. საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის პროგრამის ბენეფიციარის მიერ გადახდილი საფასურის სააგენტოს მიერ ანაზღაურება ხდება ეროვნულ ვალუტაში, პროგრამის ბენეფიციარის მიერ თანხის გადახდის დღისთვის ან სააგენტოს მიერ თანხის გადარიცხვის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, იმის მიხედვით, რომელიც არის უმცირესი.

5. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სააგენტო უფლებამოსილია, პროგრამასთან დაკავშირებით დაადგინოს დამატებითი პირობები კომერციული ბანკისათვის/ლიზინგის გამცემისათვის ან/და პროგრამის ბენეფიციარებისათვის, კომერციულ ბანკთან/ლიზინგის გამცემთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის დადგენილება №558 – ვებგვერდი, 22.09.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №443 – ვებგვერდი, 31.08.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 6. კომერციულ ბანკებთან ურთიერთობა**

1. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, მიმართავს კომერციულ ბანკს.

1[1]. კომერციული ბანკი ამოწმებს მეწარმე სუბიექტის შესაბამისობას ამ დადგენილების პირველი მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამ მუხლის მე-12 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან და ასევე მეწარმე სუბიექტის მიერ მოთხოვნილი სესხის შესაბამისობას პროგრამის კრიტერიუმებთან სააგენტოში შესაბამისი შეტყობინების გამოგზავნის ან გამოგზავნის წინა დღეს და შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში სააგენტოში აგზავნის შესაბამის შეტყობინებას პროგრამის ფარგლებში პროექტის დამტკიცების თაობაზე. სააგენტო კომერციული ბანკის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მისთვის საპასუხო შეტყობინების გაგზავნის გზით, არაუგვიანეს 7 სამუშაო დღის ვადაში ადასტურებს ან უარყოფს პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ სესხს. სააგენტოს დადასტურების შემთხვევაში მეწარმე სუბიექტს ენიჭება პროგრამის ბენეფიციარის სტატუსი პროექტის დამტკიცების თაობაზე ბანკის მიერ შესაბამისი შეტყობინების სააგენტოში გაგზავნის მომენტიდან.

2. კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინდუსტრიაში საქმიანობისთვის და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კრედიტის დამტკიცებისა და სააგენტოს შესაბამისი დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 7 (შვიდი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 29 (ოცდაცხრა) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 24

(ოცდაოთხი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.

3. ამ პროგრამის მე-4 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობისათვის ან/და არსებულის გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის, კომერციული ბანკის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით კრედიტის დამტკიცებისა და სააგენტოს შესაბამისი დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთიდან 7 (შვიდი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 29 (ოცდაცხრა) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 24 (ოცდაოთხი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.

3[1]. სააგენტო ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების აღსრულების მიზნით თანადაფინანსების თანხას რიცხავს კომერციულ ბანკში სპეციალურად აღნიშნული მიზნით გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე.

4. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ მე-4 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებული საწარმოს გაფართოებისთვის/ გადაიარაღებისათვის, პროგრამის ბენეფიციარისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 150,000.0 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

– მაქსიმალური მოცულობა – 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს.

5. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებული სასტუმროს გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 200,000.0 (ორასი ათასი) ლარს;

– მაქსიმალური მოცულობა, კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში – 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე – 2,000,000.0 (ორი მილიონი) ლარს.

6. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებულის გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 200,000.0 (ორასი ათასი) ლარს;

– მაქსიმალური მოცულობა, კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში – 6,000,000.0 (ექვსი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე – 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარს.

7. კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ კრედიტის, პარალელური კრედიტის შემთხვევაში – კრედიტების მთლიანი მოცულობა აღემატება, პროგრამის მიმართულების შესაბამისად, ამ მუხლის მე-4, მე-5 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, ამ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი გავრცელდება მხოლოდ ამ მუხლის მე-4, მე-5 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების შესახებ, რომლის ოდენობასაც ადგენს საქართველოს მთავრობა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

9. ამ პროგრამის ფარგლებში, ამ მუხლის მე-4, მე-5 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული კრედიტი კომერციული ბანკის მიერ გაიცემა მხოლოდ წარმოებისათვის/საქმიანობისათვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების გაწევის მიზნობრიობით.

10. კომერციული ბანკის მიერ პროექტის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მიმართულებებზე გაცემული კრედიტის სარგებლობისათვის განსაზღვრული მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7 (შვიდი) პროცენტისა;

ბ) 1,500,000.0 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარიდან 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6 (ექვსი) პროცენტისა;

გ) 3,000,000.0 (სამი მილიონი) ლარიდან 6,000,000.0 (ექვსი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 (ხუთი) პროცენტისა.

11. სააგენტო კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ამ მუხლის $3^1$ პუნქტის თანახმად გახსნილ ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე გადარიცხვით, სესხის მომსახურების გრაფიკის შესაბამისად, ბანკსა და სააგენტოს შორის შეთანხმებული წესით. ბენეფიციარის სესხის მომსახურების გრაფიკის შესაბამისად, წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად, გადარიცხული თანხის მიმართვის ვალდებულება ეკისრება კომერციულ ბანკს. კომერციული ბანკი ვალდებულია, სააგენტოს წილი ვალდებულების (თანადაფინანსების) ბენეფიციარისათვის დაფარვის შემდეგ, სატრანზიტო ანგარიშზე თანხის დარჩენის შემთხვევაში, ნაშთი დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს.

12. ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სააგენტოსა და კომერციულ ბანკს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პროგრამის ბენეფიციარს კომერციული ბანკის მიმართ არ წარმოეშობა წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა. ამასთან, წინსწრების საკომისიოდ არ მიიჩნევა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ Risk Sharing Framework – ის ფარგლებში გაცემული სესხისათვის მსესხებლის მიერ სესხის მომსახურების გრაფიკს გარეთ, ვადამდე, სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში ბანკის მიერ დაწესებული საკომისიო;

ბ) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა იზრდებოდეს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა;

გ) კომერციული ბანკის მიერ ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული კრედიტის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში დასაშვებია პარალელური კრედიტის გაცემა, რომლის დროსაც კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება თავიდან;

დ) კრედიტის გაცემისას დარღვევების დაფიქსირების, მათ შორის, კრედიტის გაცემისას ამ პროგრამით

ან/და ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომერციულ ბანკს ეკისრება ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმა;

ე) კომერციული ბანკი ვალდებულია, მოახდინოს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის წლიური შემოსავლის გადამოწმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge). ბანკი ვალდებულია, უარი უთხრას მეწარმე სუბიექტს პროგრამაში ჩართვაზე, თუ გადამოწმების შედეგად დადგინდება, რომ იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ კვალიფიცირდება მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ;

ვ) კომერციული ბანკის ვალდებულება აწარმოოს მონიტორინგი სატრანზიტო ანგარიშზე თანხების ბრუნვის თაობაზე და სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან შეთანხმებული პერიოდულობით;

ზ) კომერციული ბანკის ვალდებულება ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ბენეფიციარისათვის დაკისრებული ვალდებულებები და ამ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შესაბამისი სანქციები.

13. ერთი პროექტის ფარგლებში შესაძლებელია, კომერციული ბანკის მიერ დამტკიცდეს/გაიცეს ერთი ან რამდენიმე კრედიტი.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 ივლისის დადგენილება №453 – ვებგვერდი, 18.07.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 იანვრის დადგენილება №3 – ვებგვერდი, 16.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №443 – ვებგვერდი, 31.08.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება №99 - ვებგვერდი, 01.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №132 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 6$^{1}$. ლიზინგის გამცემთან ურთიერთობა**

1. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, მიმართავს ლიზინგის გამცემს.

1$^{1}$. ლიზინგის გამცემი ამოწმებს მეწარმე სუბიექტის შესაბამისობას ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნებთან და მის მიერ მოთხოვნილი სალიზინგო პროექტის შესაბამისობას პროგრამის კრიტერიუმებთან სააგენტოში შესაბამისი შეტყობინების გამოგზავნის ან გამოგზავნის წინა დღეს და შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში სააგენტოში აგზავნის შეტყობინებას პროგრამის ფარგლებში სალიზინგო პროექტის დამტკიცების თაობაზე. სააგენტო ლიზინგის გამცემის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მისთვის საპასუხო შეტყობინების გაგზავნის გზით, არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის ვადაში ადასტურებს პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ სალიზინგო პროექტს. სააგენტოს დადასტურების შემდეგ მეწარმე სუბიექტს ენიჭება პროგრამის ბენეფიციარის სტატუსი პროექტის დამტკიცების თაობაზე ლიზინგის გამცემის მიერ შესაბამისი შეტყობინების სააგენტოში გაგზავნის მომენტიდან.

2. სააგენტო, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში, უზრუნველყოფს ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული 24 (ოცდაოთხი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას დარიცხული წლიური

საპროცენტო განაკვეთიდან 9 (ცხრა) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, ლიზინგის საგნის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 29 (ოცდაცხრა) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ სალიზინგო პროექტის ვადა 24 (ოცდაოთხი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სალიზინგო პროექტის ვადით.

2[1]. სააგენტო ამ მუხლის მე-2 პუნქტის აღსრულების მიზნით თანადაფინანსების თანხას რიცხავს კომერციულ ბანკში სპეციალურად აღნიშნული მიზნით გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე.

3. პროგრამის ფარგლებში ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულების მინიმალური მოცულობა პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიებში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 100,000.0 (ასი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური ჯამური მოცულობა:

– მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ უნდა აღემატებოდეს 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს;

– მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ უნდა აღემატებოდეს 6,000,000.0 (ექვსი მილიონი) ლარს.

პროგრამის ფარგლებში დასაშვებია ისეთი პარალელური ლიზინგი, რომლის დროსაც ხდება ერთ პროგრამის ბენეფიციარზე ერთსა და იმავე ინდუსტრიაში რამდენიმე სალიზინგო პროექტის გაცემა, თუ ლიზინგის საგნის ღირებულებათა ჯამური მოცულობა:

– მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ აღემატება 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს;

– მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ აღემატება 6,000,000.0 (ექვსი მილიონი) ლარს.

4. ლიზინგის გამცემის მიერ სალიზინგო პროექტის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) 100,000.0 (ასი ათასი) ლარიდან – 500,000.0 (ხუთასი ათასი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 11 (თერთმეტი) პროცენტისა;

ბ) 500,000.0 (ხუთასი ათასი) ლარიდან – 1,000,000.0 (ერთი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 10 (ათი) პროცენტისა;

გ) 1,000,000.0 (ერთი მილიონი) ლარიდან – 6,000,000.0 (ექვსი მილიონი) ლარამდე – არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 9 (ცხრა) პროცენტისა.

5. სააგენტო ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის დადგენილ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ამ მუხლის 2[1] პუნქტის თანახმად გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე გადარიცხვით, ლიზინგის გამცემსა და ბენეფიციარს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სააგენტოსა და ლიზინგის გამცემს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დარიცხვის გრაფიკის შესაბამისად, წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად, გადარიცხული თანხის მიმართვის ვალდებულება ეკისრება ლიზინგის გამცემს. ლიზინგის გამცემი ვალდებულია, სააგენტოს წილი ვალდებულების (თანადაფინანსების) ბენეფიციარისათვის დაფარვის შემდეგ, სატრანზიტო ანგარიშზე თანხის დარჩენის შემთხვევაში, ნაშთი დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს.

6. ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული ლიზინგის საგნის

ღირებულების მოცულობა, რომელიც აკმაყოფილებს ამ პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ ღირებულების მთლიანი მოცულობა აღემატება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, ამ პროგრამის ფინანსური კომპონენტის ლიზინგის მიმართულება გავრცელდება მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების შესახებ, რომლის ოდენობასაც ადგენს საქართველოს მთავრობა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გასაცემი ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

8. ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე სააგენტოსა და ლიზინგის გამცემთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) ლიზინგის გაცემის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს სალიზინგო პროექტის ჯამური ღირებულების 0.1%-ს;

ბ) ლიზინგის ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, წინსწრებით გადახდის საკომისიო და/ან ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს წინსწრებით გადახდილი თანხის 2%-ს. შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის შემდეგ, ლიზინგის ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე გადახდის შემთხვევაში, წინსწრების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს წინსწრებით გადახდილი თანხის 1%-ს;

გ) პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია, ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვამდე 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვის შესახებ;

დ) (ამოღებულია - 02.08.2021, №391);

ე) ლიზინგის გამცემი ვალდებულია, მოახდინოს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის წლიური შემოსავლის გადამოწმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge). ლიზინგის გამცემი ვალდებულია, უარი უთხრას მეწარმე სუბიექტს პროგრამაში ჩართვაზე, თუ გადამოწმების შედეგად დადგინდება, რომ იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ კვალიფიცირდება მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ;

ვ) (ამოღებულია - 02.08.2021, №391);

ზ) სალიზინგო პროექტის პროგრამით დადგენილი პირობების დარღვევით გაცემის ან/და ამ პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემს ეკისრება ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ჯარიმა;

თ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სალიზინგო პროექტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა გაიზარდოს სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა;

ი) ლიზინგის გამცემის ვალდებულება ბენეფიციართან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ბენეფიციარისათვის დაკისრებული ვალდებულებები;

კ) ლიზინგის გამცემის ვალდებულება აწარმოოს მონიტორინგი სატრანზიტო ანგარიშზე თანხების ბრუნვის თაობაზე და სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან შეთანხმებული პერიოდულობით.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 იანვრის დადგენილება №3 – ვებგვერდი, 16.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №443 – ვებგვერდი, 31.08.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის დადგენილება №446 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 7. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი**

1. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის განხორციელების მიზნით, ქონების სააგენტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, უძრავი ქონების, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით მეწარმე სუბიექტისთვის გადასაცემად.

2. ქონების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული უძრავი ქონების ნუსხა პერიოდულად ახლდება ქონების სააგენტოს მიერ აღნიშნული ნუსხისათვის უძრავი ქონების დამატების ან/და ნუსხიდან უძრავი ქონების ამოღების გზით.

3. პროგრამის ბენეფიციარს, ამ პროგრამით გათვალისწინებული პირობების მიხედვით, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტის მიღების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი ვალდებულებების შესრულების პირობით, საკუთრებაში გადაეცემა უძრავი ქონება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, შემდეგი პირობებით:

ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის დარგში საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ქ. თბილისში შესაბამისი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების ექვსმაგი, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე – ოთხმაგი ოდენობის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ბ.ა) ინვესტიციის არანაკლებ 25%-ისა – საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

ბ.ბ) ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი – საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან მეორე წლის განმავლობაში;

გ) წარმოების დაწყებიდან 5 (ხუთი) წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნება.

4[1]. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ბენეფიციარი დაარღვევს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ უძრავი ქონების გადაცემის პირობებს და ამავდროულად, ქონების სააგენტოს წარუდგენს უძრავი ქონების იპოთეკარის, კომერციული ბანკის წერილობით ინფორმაციას, პროგრამის ბენეფიციარის მიერ კომერციულ ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის 90 (ოთხმოცდაათი) დღეზე მეტი ვადით დარღვევისა და ამ დარღვევით გამოწვეული პროგრამის განხორციელების საფრთხის თაობაზე, პროგრამის ბენეფიციარს, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის პირობების ნაცვლად, ქონების სააგენტოსათვის წარდგენილი შეტყობინების საფუძველზე შეუძლია, შეასრულოს ქონების გადაცემის ალტერნატიული პირობა, კერძოდ, შეტყობინების გაკეთებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს თანხა შემდეგი ოდენობით:

ა) ქონების თბილისში მდებარეობის შემთხვევაში:

ა.ა) თუ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს, გადასახდელი

თანხა შეადგენს ამ ღირებულებისა და განხორციელებული ინვესტიციის (მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის) ერთი მეექვსედის სხვაობის 2,5-ჯერ გაზრდილ ოდენობას, მაგრამ არანაკლებ 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ა.ბ) თუ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება დადგენილია 100 000 (ასი ათასი) ლარიდან 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ჩათვლით, გადასახდელი თანხა შეადგენს ამ ღირებულებისა და განხორციელებული ინვესტიციის (მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის) ერთი მეექვსედის სხვაობის ორმაგ ოდენობას;

ა.გ) თუ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს, გადასახდელი თანხა შეადგენს ამ ღირებულებისა და განხორციელებული ინვესტიციის (მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის) ერთი მეექვსედის სხვაობის 1,75-ჯერ გაზრდილ ოდენობას;

ბ) ქონების თბილისის გარდა სხვა ტერიტორიაზე მდებარეობისას:

ბ.ა) თუ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ლარს, გადასახდელი თანხა შეადგენს ამ ღირებულებისა და განხორციელებული ინვესტიციის (მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის) ერთი მეოთხედის სხვაობის 2,5-ჯერ გაზრდილ ოდენობას, მაგრამ არანაკლებ 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ბ.ბ) თუ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება დადგენილია 100 000 (ასი ათასი) ლარიდან 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ჩათვლით, გადასახდელი თანხა შეადგენს ამ ღირებულებისა და განხორციელებული ინვესტიციის (მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის) ერთი მეოთხედის სხვაობის ორმაგ ოდენობას;

ბ.გ) თუ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს, გადასახდელი თანხა შეადგენს ამ ღირებულებისა და განხორციელებული ინვესტიციის (მაგრამ არაუმეტეს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოდენობის) ერთი მეოთხედის სხვაობის 1,75-ჯერ გაზრდილ ოდენობას.

5. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის განხორციელებისა და პროგრამის ბენეფიციარის სტატუსის მოსაპოვებლად, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი განაცხადითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობის 10%-ის ოდენობის, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიით მიმართავს ქონების სააგენტოს.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში, მის საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასა და ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას), გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მეწარმე სუბიექტის მიერ ქონების სააგენტოში წარსადგენი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობის 10%ს, მისი მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს მეწარმე სუბიექტის მიერ შესაბამისი განაცხადის წარდგენიდან არანაკლებ 30 თვისა და უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) საბანკო გარანტია, მისი მოქმედების პირველი 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას;

ბ) საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში, მის საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, საბანკო გარანტია უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას (მათ შორის, ვალდებულებ(ებ)ის

შეუსრულებლობისთვის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდას), გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა.

8. ერთსა და იმავე უძრავ ქონებაზე ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენისას, უპირატესობა მიენიჭება იმ მეწარმე სუბიექტს, რომლის მიერაც აღნიშნული დოკუმენტები ქონების სააგენტოში წარდგენილ იქნა უფრო ადრე.

9. მეწარმე სუბიექტის მიერ შესაბამისი განაცხადის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოუცემლობის შემთხვევაში, წარდგენილი საბანკო გარანტია უბრუნდება მეწარმე სუბიექტს.

10. საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან 3 (სამი) თვეში ნასყიდობის ხელშეკრულების გაუფორმებლობის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

11. საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

12. ამ მუხლის $4^1$ პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის ალტერნატიული პირობის გამოყენების თაობაზე პროგრამის ბენეფიციარის მიერ ქონების სააგენტოსთვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენის შემთხვევაში, პროგრამის ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ამასთან, პროგრამის ბენეფიციარს შეტყობინების წარდგენამდე ეკისრება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების გადაცემის პირობების დარღვევის საფუძველზე ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი პირგასამტეხლო. ალტერნატიული პირობის დარღვევის შემთხვევაში, ალტერნატიული პირობის შესრულებისათვის ამ მუხლის $4^1$ პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვისთანავე ნასყიდობის ხელშეკრულება ითვლება ცალმხრივად შეწყვეტილად და შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

13. (ამოღებულია - 18.12.2020, №757).

14. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ქონების გადაცემის პირობ(ებ)ის შეცვლა ან/და ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან პროგრამის ბენეფიციარის გათავისუფლება დასაშვებია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით და ხორციელდება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

15. პროგრამის ბენეფიციარის მიერ პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისას დაუშვებელია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოს მიერ ან/და ამავე ან სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტის გამოყენება.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №646 - ვებგვერდი, 29.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №483 - ვებგვერდი, 31.10.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მარტის დადგენილება №145 – ვებგვერდი, 27.03.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №757 – ვებგვერდი, 21.12.2020წ.*

**მუხლი 8. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის დადგენილება №99 - ვებგვერდი, 01.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 9. პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის მონიტორინგი**

1. პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში პროექტის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო.

2. პროგრამის არამიზნობრივი განხორციელების აღმოჩენის შემთხვევაში ან/და პროგრამით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო იმოქმედებს პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*

**მუხლი 10. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები**

1. პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება და ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სააგენტოს მიერ წყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) ამ პროგრამით დადგენილი პირობებით, სააგენტოს, კომერციული ბანკის, ლიზინგის გამცემისა და პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამავე პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ბ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ შესაბამის კომერციულ ბანკთან/ლიზინგის გამცემთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, კერძოდ, სესხის/სალიზინგო პროექტის გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანის ზედიზედ 120 (ას ოცი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების ან/და კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ საადსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება წყდება;

გ) პროექტის ფარგლებში გაცემული კრედიტის/ლიზინგის პროგრამით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ რესტრუქტურიზაცია, რეფინანსირება;

დ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ პროფილის შენარჩუნების ვალდებულების დარღვევა;

ე) პროგრამის ბენეფიციარის მიერ სესხის პროცენტის თანადაფინანსების კომპონენტში სესხის მიზნობრიობის დარღვევა (იგულისხმება ძირითადი და საბრუნავი საშუალებების დადგენილი თანაფარდობის დარღვევა);

ვ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ წარმოების დაწყების ვალდებულების დარღვევა;

ზ) ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ მე-6 მუხლის $1^1$ და $6^1$ მუხლის $1^1$ პუნქტების დარღვევით პროექტის დამტკიცება. აღნიშნულ შემთხვევაში სააგენტო შეწყვეტს კონკრეტული პროექტის თანადაფინანსებას და ბანკისგან/ლიზინგის გამცემისგან მოითხოვს გადახდილი თანადაფინანსების თანხების უკან დაბრუნებას.

$1^1$. პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა და ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სააგენტოს მიერ შეიძლება, შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

2. პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმოსაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ნაწილში პროგრამის ბენეფიციარის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო (მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“, „ე“, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში) სააგენტოს მიერ თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, დააბრუნოს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გადახდილი თანხები.

4. (ამოღებულია - 02.08.2021, №391).

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*

*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 11. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება**

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*

**მუხლი 12. დამატებითი პირობები**

1. ამ პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ამავე პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადების სააგენტოში წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2021 წლის 15 დეკემბრით.

1$^{1}$. (ამოღებულია - 29.03.2019, №164).

2. ამ პროგრამაში ცვლილების შეტანა, მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება, შესაძლებელია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. ამ პროგრამის განხორციელებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 ნოემბრის დადგენილება №622 – ვებგვერდი, 11.11.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №661 - ვებგვერდი, 08.12.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №546 – ვებგვერდი, 15.12.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №651 – ვებგვერდი, 27.12.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №757 – ვებგვერდი, 21.12.2020წ.*

## თავი I$^{1}$

## სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*

**მუხლი 12$^{1}$. ტერმინთა განმარტება**

„სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის მიზნებისთვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **პროგრამა** – „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი;

ბ) **მეწარმე სუბიექტი** – 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;

გ) **პროგრამის ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც 2015 – 2018 წლებში ერთხელ უკვე მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა, ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, სააგენტოსთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;

დ) **პროგრამის ახალი ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელმაც მიიღო პროგრამით განსაზღვრული ხელშეწყობა, ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, სააგენტოსთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;

ე) **განაცხადი** – მეწარმე სუბიექტის მიერ, პროგრამის ფარგლებში, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სააგენტოსთვის ელექტრონული ფორმით წარდგენილი მიმართვა პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე (ბიზნესიდეის განაცხადი);

ვ) **პროექტი** – მეწარმე სუბიექტის მიერ, პროგრამის ფარგლებში, პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სააგენტოსთვის ელექტრონული ფორმით წარდგენილი ბიზნესგეგმა;

ზ) **სამიზნე ტერიტორიული ერთეული** – დანართ №6-ის შესაბამისად;

თ) **ლოტი** – პროგრამის ფარგლებში გაერთიანებული რამდენიმე სამიზნე ტერიტორიული ერთეული;

ი) **კონტრაქტორი** – ლოტზე შერჩეული, ამ პროგრამითა და მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, სააგენტოსთან ერთად პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი, გარდა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი/მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირისა, რომელთანაც, ამ პროგრამის ფარგლებში, პროგრამის $12^3$ მუხლის შესაბამისად, გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება;

კ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

ლ) **მომსახურების ხელშეკრულება** – სააგენტოსა და კონტრაქტორს შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულება;

მ) **ბენეფიციარის ხელშეკრულება** – სააგენტოსა და პროგრამის ახალ ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციარს შორის თანადაფინანსების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება;

ნ) **ეტაპი** – დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს განსახორციელებელი ეტაპების ერთობლიობას, პროგრამის ახალი ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციარის შერჩევიდან ბენეფიციარის ხელშეკრულების სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის პროცედურის ჩათვლით;

ო) **პროგრამული უზრუნველყოფა** – პროგრამის თითოეული ეტაპის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, მეწარმე სუბიექტის მიერ განაცხადების მიღების დაწყებიდან ბენეფიციარის ხელშეკრულების დამატებითი მონიტორინგის ჩათვლით;

პ) **თანადაფინანსება** – პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს მიერ პროგრამის ახალი ბენეფიციარისათვის/პროგრამის ბენეფიციარისათვის გამოყოფილი დაფინანსება.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №443 – ვებგვერდი, 31.08.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის დადგენილება №180 - ვებგვერდი, 05.04.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*

**მუხლი $12^2$. პროგრამის მიზანი და აღწერა**

1. მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გადაიარაღებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება. ასევე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება.

2. პროგრამის ჩატარების ვადებსა და პირობებს ამ პროგრამის დანართ №6-ით გათვალისწინებულ ტერიტორიულ ერთეულებში განსაზღვრავს სააგენტო, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 26.01.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

## მუხლი $12^3$. პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლებამოსილება

1. პროგრამის კოორდინაციასა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტრო.

2. სააგენტო:

ა) აფორმებს კონტრაქტორთან მომსახურების ხელშეკრულებას;

ბ) აწარმოებს კონტრაქტორის მიერ პროგრამის განხორციელების მონიტორინგს;

გ) ამ პროგრამის $12^5$ მუხლით დადგენილი წესით, აფორმებს ბენეფიციარის ხელშეკრულებას პროგრამის ახალ ბენეფიციართან/პროგრამის ბენეფიციართან და უზრუნველყოფს მათ თანადაფინანსებას სააგენტოს ასიგნებებიდან;

დ) მეწარმე სუბიექტების/პროგრამის ახალი ბენეფიციარების/პროგრამის ბენეფიციარების მონაცემთა აღრიცხვის მიზნით, ქმნის პროგრამულ უზრუნველყოფას;

ე) ახორციელებს პროგრამის საინფორმაციო-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას;

ვ) სააგენტოს მიერ დადგენილი წესით აწარმოებს პროგრამის ახალი ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციარის მიერ პროგრამის ფარგლებში წარდგენილი ბიზნესგეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგს.

3. კონტრაქტორი:

ა) უშუალოდ ახორციელებს პროგრამის პოპულარიზაციასა და იმპლემენტაციას შესაბამის ლოტთან მიმართებით, ამ პროგრამითა და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში;

ბ) სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ამოწმებს და აფასებს სააგენტოსთვის წარდგენილ ბიზნესიდეებს;

გ) სააგენტოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ატარებს ტრენინგებს ბიზნესგეგმის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ტრენინგის მასალებს აწვდის სააგენტოს;

დ) პროგრამის ახალ ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციარს უწევს პროგრამასა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებას;

ე) სააგენტოს მიერ დადგენილი წესით ამოწმებს და აფასებს სააგენტოსთვის წარდგენილ ბიზნესგეგმებს;

ვ) ბიზნესგეგმის შეფასების ეტაპზე აპლიკანტებთან სააგენტოს მიერ დადგენილი წესით ატარებს ზეპირ გასაუბრებას (ინტერვიუს) და მასალებს წარუდგენს სააგენტოს;

ზ) ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმებამდე ადგენს შესამოწმებელი პროექტების ადგილზე დათვალიერების განრიგს, ათვალიერებს, აღრიცხავს და ასურათებს აქტივებს სააგენტოს მიერ

დადგენილი წესის შესაბამისად და აღნიშნულ მასალას აწვდის სააგენტოს;

თ) პროგრამული უზნრუნველყოფის საშუალებით ავტომატურად დაგენერირებული ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ხელშეკრულებისა და თანდართული დოკუმენტების ორიგინალურ (მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტი) ვერსიას აწვდის სააგენტოს;

ი) ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სააგენტოს მიერ დადგენილი წესით ადგენს შესამოწმებელი პროექტების ადგილზე დათვალიერების როგორც პერიოდულ, ასევე განმეორებითი/დამატებითი მონიტორინგის განრიგს, ახორციელებს შესყიდული აქტივების ადგილზე ინსპექტირებას და მასალებს წარუდგენს სააგენტოს;

კ) ახორციელებს მომსახურების ხელშეკრულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და არ ეწინააღმდეგება ამ დადგენილებას.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*

**მუხლი $12^4$. პროგრამის ლოტების განაწილება**

ლოტი განისაზღვრება პროგრამის სამიზნე ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 26.01.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*

**მუხლი $12^5$. პროგრამაში მონაწილეობა**

1. ახალი ბიზნესის დაწყების ან არსებულის გაფართოების/გადაიარაღების მიზნით, პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი:

ა) სააგენტოს მიერ დადგენილი წესით, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, განაცხადით მიმართავს სააგენტოს;

ბ) სააგენტოს მიერ დადგენილი წესით, განაცხადის მიღების ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში, პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით, სააგენტოს წარუდგენს პროექტს.

2. თუ მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილი პროექტი დააკმაყოფილებს სააგენტოს მიერ დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს, სააგენტოსა და პროგრამის ახალ ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციარს შორის ფორმდება ბენეფიციარის ხელშეკრულება, რის შემდეგაც სააგენტო უფლებამოსილია, გასცეს თანადაფინანსება პროგრამის ახალ ბენეფიციარზე/პროგრამის ბენეფიციარზე.

3. სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა პროგრამის ახალ ბენეფიციარზე/პროგრამის ბენეფიციარზე განისაზღვრება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თანხა მეწარმე სუბიექტზე გაიცემა ერთჯერადად, რომლის არანაკლებ 90%-ისა მეწარმე სუბიექტის მიერ მიმართული უნდა იყოს ბიზნესგეგმაში დასახელებული ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად, ხოლო არაუმეტეს 10%-ისა – ბიზნესგეგმაში დასახელებული საბრუნავი საშუალებების შესაძენად.

5. პროგრამაში თანამონაწილეობის წილი პროგრამის ახალი ბენეფიციარისათვის განისაზღვრება თანადაფინანსების თანხის არანაკლებ 10 (ათი) პროცენტით, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილ დასახლებებში – თანადაფინანსების თანხის არანაკლებ 5 (ხუთი) პროცენტით.

6. პროგრამაში თანამონაწილეობის წილი პროგრამის ბენეფიციარისათვის განისაზღვრება თანადაფინანსების თანხის არანაკლებ 25 (ოცდახუთი) პროცენტით, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების

განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილ დასახლებებში – თანადაფინანსების თანხის არანაკლებ 15 (თხუთმეტი) პროცენტით.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული თანამონაწილეობა პროგრამის ახალი ბენეფიციარის/პროგრამის ბენეფიციარის მიერ განხორციელდება მხოლოდ ფინანსურად, ფულადი სახით. ამ მიზნით, ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმებამდე, პროგრამის ახალი ბენეფიციარი/პროგრამის ბენეფიციარი თანამონაწილეობის თანხას განათავსებს საკუთარ საბანკო ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე სააგენტოს მიერ დადგენილი წესითატყობინებს კონტრაქტორსა და სააგენტოს, რომლის შემდგომ სააგენტოსა და პროგრამის ახალ ბენეფიციარს/პროგრამის ბენეფიციარს შორის ფორმდება ბენეფიციარის ხელშეკრულება. კონტრაქტორის მიერ მონიტორინგის განხორციელების საფუძველზე თანამონაწილეობის თანხის მიზნობრივად გახარჯვის ფაქტის დადასტურების შემდგომ, სააგენტო განათავსებს თანადაფინანსების თანხას აღნიშნული ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე.

8. პროექტის განხორციელების მიზნით, პირველ რიგში გამოიყენება თანამონაწილეობის თანხა, ხოლო შემდეგ – დაფინანსების თანხა.

9. კონტრაქტორის მიერ პროექტის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტის პრიორიტეტულობა;

ბ) განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტის პრიორიტეტულობა;

გ) მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე ორიენტირებული პროექტების პრიორიტეტულობა;

დ) ახალი ბიზნესის წამოწყება;

ე) ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

ვ) სოფლად/მაღალმთიან სოფელში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება.

10. სააგენტო უფლებამოსილია, მეწარმე სუბიექტს უარი უთხრას ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმებაზე, თუკი იგი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში.

11. პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება:

ა) რელიგიური, პოლიტიკური, საომარი და სხვა მსგავსი აქტივობები;

ბ) ბიოლოგიური აქტივების შეძენა;

გ) სატრანსპორტო საშუალებების შეძენა, რომლებიც განკუთვნილია ადამიანების გადასაყვანად;

დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება და მისთვის განკუთვნილი მომსახურება.

12. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ეკონომიკური საქმიანობის სახეები, დანართ №7-ის შესაბამისად.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

**მუხლი 12⁶. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება**

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა, დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*

**მუხლი $12^7$. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება**

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*

**მუხლი $12^8$**

ამ პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსების მიღების მიზნით, ამავე პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადების წარდგენის ვადა განისაზღვრება დადგენილების $12^2$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გამოცემული სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლის შესაბამისადაც განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადა უნდა განისაზღვროს არაუგვიანეს 2020 წლის 31 ოქტომბრით.

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

## თავი $I^2$

## სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილი

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*

**მუხლი $12^9$. ტერმინთა განმარტება**

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილის მიზნებისთვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროგრამა – სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ კინოინდუსტრიის ნაწილი;

ბ) სააგენტო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აწარმოე საქართველოში;

გ) სამინისტრო – საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

დ) მეწარმე სუბიექტი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (გარდა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა), რომელსაც სააგენტოში საბოლოო აუდირებული დასკვნის წარდგენის დღეს არ გააჩნია სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

ე) განაცხადი – ერთი მეწარმე სუბიექტის/პროგრამის ბენეფიციარის მიერ სააგენტოსთვის ელექტრონული ფორმით წარდგენილი ერთი მიმართვა, პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით;

ვ) პროგრამის ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, რომელსაც ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, სააგენტოს მიერ დადგენილი პროცედურებით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მიენიჭა პროგრამის ბენეფიციარის სტატუსი;

ზ) სერტიფიკატი – სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) პროექტი – მეწარმე სუბიექტის მიერ, პროგრამის ფარგლებში, სააგენტოსთვის წარდგენილ განაცხადში მითითებული ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოიცავს შემდეგს:

თ.ა) ზოგადი ინფორმაცია (მეწარმე სუბიექტის დასახელება, იურიდიული პირის სტატუსი, საიდენტიფიკაციო ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია) მეწარმე სუბიექტისა და ამ პროგრამის მიმართულების შესახებ;

თ.ბ) პროგრამის მიმართულების შინაარსობრივი მიმოხილვა;

თ.გ) წარმოებისა და გადაღებების გეგმა, საქართველოში პროექტის ფარგლებში დასაქმებული რეზიდენტ(ებ)ის რაოდენობა, სავარაუდო ჯამური ბიუჯეტი, გასაწევი მთლიანი კვალიფიციური ხარჯის ოდენობა და კატეგორიზაცია;

თ.დ) ზოგადი ინფორმაცია საბოლოო პროდუქტის შესახებ:

თ.დ.ა) საქართველოში მიმდინარე წარმოების პროცესში ჩართული მსახიობები, პროდიუსერები და გადამღები ჯგუფის სხვა წევრები, საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოებაში ჩართული ქვეყნები და ა.შ.;

თ.დ.ბ) უცხოური ინვესტიციის შემთხვევაში – ინფორმაცია უცხოელი პარტნიორის/პარტნიორების შესახებ, იურიდიული პირის სახელწოდება (ურთიერთთანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

თ.ე) პროექტის სავარაუდო კვალიფიციური ხარჯი;

თ.ვ) გადასაღები დღეების სავარაუდო რაოდენობა;

თ.ვ.ა) აღნიშვნა განგრძობადი საბოლოო პროდუქტის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაზედაც წარდგენილია მეწარმე სუბიექტის შესაბამისი დასაბუთება;

თ.ზ) ამ პროგრამის $12^{11}$ მუხლის „გ“, „ვ“, „თ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, დოკუმენტის საბოლოო პროდუქტის საქართველოს ფარგლებს გარეთ 1 (ერთი) ქვეყანაში დისტრიბუციის შესახებ დოკუმენტაცია (სადისტრიბუციო მოთხოვნა);

თ.თ) ამ პროგრამის $12^{13}$ მუხლის $1^{1}$ პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიშის რეკვიზიტები;

ი) სადისტრიბუციო მოთხოვნა – მეწარმე სუბიექტის მიერ, ამ პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს მიერ დადგენილი წესითა და ფორმით წარსადგენი დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც მოიცავს საბოლოო პროდუქტის საქართველოს ფარგლებს გარეთ დისტრიბუციის შესახებ დამადასტურებელ ინფორმაციას ან/და საბოლოო პროდუქტის სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელების არეალის შესახებ მონაცემებს;

კ) საბოლოო პროექტი – ამ პროგრამის მიმართულებების შესაბამისად, საქართველოში განხორციელებული პროექტი;

ლ) საბოლოო პროდუქტი – ამ პროგრამის მიმართულებების შესაბამისად ნაწარმოები

აუდიოვიზუალური პროდუქცია, რომლის წარმოება ნაწილობრივ ან მთლიანად განხორციელდა საქართველოში;

ლ[1]) განგრძობადი საბოლოო პროდუქტი – საბოლოო პროდუქტი, რომლის საქართველოში წარმოებას, ნაწილობრივ ან მთლიანად, ესაჭიროება 1 წელზე მეტი, შედგება ერთმანეთთან შინაარსობრივად/თემატურად დაკავშირებული, განცალკევებადი, დამოუკიდებელი ეპიზოდური ნაწილებისგან, რომლის ფარგლებში მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალურ მოცულობაზე, კვალიფიციური ხარჯების ანაზღაურების პერიოდსა და აუდირებული დასკვნის წარდგენის ეტაპებზე/სიხშირეზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, რომელსაც პროექტი წარმოედგინება სააგენტოს მიერ, ამ პროგრამის $12^{13}$ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით;

მ) კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ საქართველოში №2 დანართის შესაბამისად განხორციელებული ხარჯი, თუ ის გაწეულია საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რეზიდენტის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამის ფარგლებში მიწოდებულ მომსახურებაზე (საქონელზე). კვალიფიციური ხარჯი არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსებიდან გაწეულ ხარჯებს. შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, კვალიფიციურ ხარჯში ჩაითვლება ფიზიკურ პირზე გაცემული შრომის ანაზღაურება, რომელიც დაბეგრილია ხელფასიდან 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით;

მ.ა) სავარაუდო კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ საქართველოში №2 დანართის შესაბამისად განსახორციელებელი ხარჯი, თუ ის გაწეული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს რეზიდენტის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამის ფარგლებში მისაწოდებელ მომსახურებაზე (საქონელზე). კვალიფიციური ხარჯი არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსებიდან გაწეულ ხარჯებს. შრომის ანაზღაურების შემთხვევაში, კვალიფიციურ ხარჯში ჩაითვლება ფიზიკურ პირზე გასაცემი შრომის ანაზღაურება, რომელიც დაიბეგრება ხელფასიდან 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით;

ნ) მთლიანი კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ განხორციელებული კონკრეტული კვალიფიციური ხარჯების ჯამი, რომელიც არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსებიდან გაწეულ ხარჯებს;

ო) პოპულარიზაციის ელემენტი – საბოლოო პროდუქტის თემატიკის შემხებლობა საქართველოსთან ან საბოლოო პროდუქტში საქართველოს პეიზაჟების გამოყენება და საქართველოს დაფიქსირება, როგორც მოქმედების გეოგრაფიული ადგილის; საბოლოო პროდუქტის გადაღებისას, საბოლოო პროდუქტში გარკვეულ წამყვან პოზიციებზე საქართველოს მოქალაქეების დასაქმება; საქართველოს სხვადასხვა ხედის ამსახველი კადრების შერჩევა; საბოლოო პროდუქტში ქართული/ეროვნული ელემენტების გამოყენება; საბოლოო პროდუქტის შემდგომი დამუშავება (Post-Production) საქართველოში; საბოლოო პროდუქტის დისტრიბუცია არანაკლებ 2 ქვეყანაში; ინფორმაციის გავრცელება საქართველოში გადაღების გამოცდილებაზე; საბოლოო პროდუქტმა ერთხელ მაინც მიიღო მონაწილეობა და/ან გაიმარჯვა სამინისტროს მიერ აღიარებულ ფესტივალზე/მთავარ კონკურსში;

პ) კომისია – სააგენტოს, სამინისტროს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ამ პროგრამით განსაზღვრული პოპულარიზაციის ელემენტის ანაზღაურების შესახებ. კომისიის შემადგენლობასა და საქმიანობის წესს ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარეს;

ჟ) ტექნიკური დახმარება – ბენეფიციარის საჭიროებ(ებ)იდან გამომდინარე, მისი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება და სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოებთან კოორდინაციის კუთხით ხელშეწყობა;

რ) ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ განხორციელებული №2 დანართის შესაბამისად კონკრეტული კვალიფიციური ხარჯი, პროგრამის შესაბამისად დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში, რომელიც არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსებიდან გაწეულ ხარჯებს;

ს) მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯი – პროგრამის ბენეფიციარის მიერ განხორციელებული №2 დანართის შესაბამისად ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯების ჯამი, რომელიც არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსებიდან გაწეულ ხარჯებს.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №132 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის დადგენილება №180 - ვებგვერდი, 05.04.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №316 - ვებგვერდი, 05.7.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №312 – ვებგვერდი, 01.07.2021წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 12[10]. პროგრამის მიზანი და აღწერა**

კინოინდუსტრიის განვითარების მიზნით, პროგრამის ფარგლებში, მოხდება ადგილობრივი კინოინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, უცხოური კინოწარმოების მოზიდვა, ადგილობრივი კინოინდუსტრიის ბაზრის ზრდა, ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განვითარება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*

**მუხლი 12[11]. პროგრამის მიმართულებები**

პროგრამის მიმართულებებია შემდეგი აუდიოვიზუალური პროდუქციის წარმოება:

ა) მხატვრული ფილმი;

ბ) (ამოღებულია - 29.12.2016, №624);

გ) ტელესერიალი ან მინი-სერიალი;

დ) ანიმაცია;

ე) დოკუმენტური ფილმი;

ვ) სარეკლამო ვიდეო პროდუქცია;

ზ) რეალითი შოუ;

თ) მუსიკალური კლიპი.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*

**მუხლი 12[12]. პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლებამოსილება**

1. პროგრამის კოორდინაციასა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2. პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მიზნით, სააგენტო ან/და სამინისტრო უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარს გაუწიოს ტექნიკური დახმარება.

3. სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, ინფორმაციის გავრცელებას;

ბ) პროგრამაში ჩართვის მსურველ მეწარმე სუბიექტთა რეგისტრაციის მიზნით, ქმნის ონლაინპლატფორმას და ამავე პლატფორმის მეშვეობით ახდენს განაცხადების პროგრამით დადგენილი წესით რეგისტრაციას;

გ) პროგრამის ბენეფიციარისთვის ამ პროგრამით და ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად, მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის ანაზღაურებას 20 (ოცი) პროცენტის ოდენობით;

გ[1]) (ამოღებულია - 21.03.2021, №312);

დ) პოპულარიზაციის ელემენტის შემთხვევაში, დამატებით მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის 2%-დან 5%-მდე ანაზღაურებას, პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად;

ე) განაცხადის ფორმის დადგენას და რეგისტრაციის პროცედურებს;

ვ) პროგრამის ბენეფიციართა რეესტრის წარმოებას;

ზ) სადისტრიბუციო მოთხოვნის და სადისტრიბუციო მოთხოვნის წარდგენის ფორმის დადგენას;

თ) აუდირებული დასკვნის წარდგენის ფორმისა და კრიტერიუმების შემუშავებასა და დამტკიცებას;

ი) სამინისტროსთან ერთად, მის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გადაღებების მსვლელობის მონიტორინგის ფორმის შემუშავებას.

3[1]. სააგენტო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და დაამტკიცოს სავალდებულო კრიტერიუმები ამ პროგრამის 12[13] მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობისათვის წარმოსადგენი პროექტისათვის.

4. სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს:

ა) პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, ინფორმაციის გავრცელებას;

ბ) განაცხადის განხილვას წარდგენილი სინოპსისის/პროდუქტის აღწერის შესაბამისად და მისთვის ამ პროგრამის 12[11] მუხლით განსაზღვრული მიმართულების მინიჭებას;

გ) ამ პროგრამის მიზნებისთვის, სააგენტოს მხრიდან კვალიფიციური ხარჯის ანაზღაურებამდე პროექტის პროგრამის მიმართულებებთან შესაბამისობის დადგენას. აღნიშნული მიზნით სამინისტრო ვალდებულია:

გ.ა) სააგენტოსთან შეთანხმებული ფორმით მოახდინოს საქართველოს ტერიტორიაზე გადაღებების მსვლელობის მონიტორინგი;

გ.ბ) მოახდინოს განხორციელებული პროექტის საბოლოო შესწავლა/შეფასება და თავდაპირველ პროდუქტთან/სინოპსისთან შესაბამისობის დადგენა;

დ) პროექტის შესაბამისობის დადგენას 12[13] მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან;

ე) პოპულარიზაციის ელემენტის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და დამტკიცებას.

5. მეწარმე სუბიექტის მიერ განაცხადში წარდგენილ ინფორმაციაზე წვდომის უფლება, სააგენტოსა და

სამინისტროსთან ერთად, აქვს ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №132 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №316 - ვებგვერდი, 05.7.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №312 – ვებგვერდი, 01.07.2021წ.*

**მუხლი $12^{13}$. პროგრამაში მონაწილეობა**

1. პროგრამაში ჩართვის მიზნით, მეწარმე სუბიექტი, სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით, სააგენტოში წარადგენს განაცხადს პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე.

$1^1$. პროგრამაში ჩართვის მიზნით, მეწარმე სუბიექტი, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში ხსნის შესაბამის ანგარიშს, რომლიდანაც პროგრამის ფარგლებში განახორციელებს მხოლოდ დადგენილების №2 დანართის შესაბამისად განსაზღვრული კვალიფიციური ხარჯების გაწევას, კონკრეტული უნიკალური კოდის მითითებით (ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატით მინიჭებული კოდი), უნაღდო ანგარიშსწორების წესით (ანგარიშის რეკვიზიტები ეცნობება სააგენტოს). ნებისმიერი სხვა ანგარიშიდან განსხვავებული წესით კვალიფიციური ხარჯების გაწევა სააგენტოსთვის არ წარმოშობს ანაზღაურების ვალდებულებას.

2. მეწარმე სუბიექტი, საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს წარუდგენს დამატებით დოკუმენტ(ებ)ს სააგენტოს მიერ შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, თუ ამ პუნქტით დადგენილ ვადაში მეწარმე სუბიექტი არ წარუდგენს სააგენტოს დამატებით დოკუმენტ(ებ)ს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ.

3. პროგრამის ფარგლებში მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მინიმალური მოცულობა, საიდანაც მოხდება მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის 20%-ის ანაზღაურება ამ პროგრამის $12^{11}$ მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიმართულებების შემთხვევაში, შეადგენს არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს. ამ პროგრამის $12^{11}$ მუხლის „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მიმართულებების შემთხვევაში, შეადგენს არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარს. ამ პროგრამის $12^{11}$ მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმართულების შემთხვევაში შეადგენს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარს. ამ პროგრამის მხოლოდ $12^{11}$ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მიმართულებაზე შესაძლებელია მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მინიმალური მოცულობის დაანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან გამოყოფილი თანადაფინანსება.

4. პროგრამის ფარგლებში, მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს – 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალურ ოდენობას ადგენს საქართველოს მთავრობა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალურ ოდენობას ადგენს საქართველოს მთავრობა ან/და განგრძობადი საბოლოო პროდუქტის შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტი არგუმენტირებული წერილით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეშვეობით, საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად, ამასთან, პროექტის საქართველოს მთავრობისთვის განსახილველად წარმოსადგენად სავალდებულოა, აღნიშნული აკმაყოფილებდეს ამ პროგრამის $12^{12}$ მუხლის $3^1$ პუნქტით განსაზღვრულ, სააგენტოს მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ კრიტერიუმებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. მეწარმე სუბიექტის მიერ სააგენტოში წარდგენილ განაცხადზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტს ენიჭება პროგრამის ბენეფიციარის სტატუსი და სააგენტო უფორმებს ხელშეკრულებას და გადასცემს შესაბამის სერტიფიკატს, რომელზეც ასახულია კონკრეტული უნიკალური კოდი.

6[1]. ბენეფიციარი ვალდებულია, ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით, სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში დაიწყოს აუდიოვიზუალური პროდუქციის წარმოების პროცესი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტოს უფლება აქვს, შეწყვიტოს ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულება და გააუქმოს სერტიფიკატი.

7. მეწარმე სუბიექტის მიერ ამ პროგრამის მიმართულების შესაბამისად წარდგენილი პროექტის ან/და საბოლოო პროდუქტის შინაარსის ცვლილებ(ებ)ის შეტანა დასაშვებია, თუ მეწარმე სუბიექტის მიერ ამ პროგრამის მიმართულების შესაბამისად წარდგენილი პროექტი ან/და საბოლოო პროდუქტი (მათ შორის, პროექტში ან/და საბოლოო პროდუქტში განხორციელებული ცვლილებებიც) არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით, ამ სახელმწიფო პროგრამით და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7[1]. ბენეფიციარის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი მთლიანი სავარაუდო კვალიფიციური ხარჯების ცვლილების შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე მიმართოს სააგენტოს, რა დროსაც მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე. თუ ცვლილების შედეგად სახეზეა მთლიანი სავარაუდო კვალიფიციური ხარჯის 10%-ზე მეტით გაზრდა, სააგენტოს მიერ ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული მთლიანი სავარაუდო კვალიფიციური ხარჯების 10%-იან ნამატზე.

7[2]. ბენეფიციარის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სავარაუდო კვალიფიციური ხარჯებიდან თითოეულის ცვლილების შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე მიმართოს სააგენტოს, რა დროსაც მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების თაობაზე. თუ ცვლილების შედეგად სახეზეა თითოეული სავარაუდო კვალიფიციური ხარჯ(ებ)ის 30%-ზე მეტით გაზრდა, სააგენტოს მიერ ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული სავარაუდო კვალიფიციური ხარჯ(ებ)ის 30%-იან ნამატზე.

7[3]. ამ მუხლის 7[1] და 7[2] პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, თუ ცვლილების შედეგად მოთხოვნილი თანხა აჭარბებს ამავე მუხლის მე-4 პუნქტით ან/და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალურ მოცულობას, სააგენტოს მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ ამავე მუხლის მე-4 პუნქტით ან/და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მაქსიმალური მოცულობის ფარგლებში.

8. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მთლიან ლიმიტირებულ კვალიფიციურ ხარჯზე ამ პროგრამით გათვალისწინებული ანაზღაურება სააგენტოს მიერ მოხდება საბოლოო პროექტის განხორციელების, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული სავარაუდო კვალიფიციური ხარჯისა და პროექტის განხორციელების შემდეგ დაზუსტებული კვალიფიციური ხარჯის შედარების, შესაბამისი აუდიტორული კომპანიის მიერ დასკვნის (სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად) სააგენტოს მიერ დადგენილი ფორმით სააგენტოში წარდგენიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში.

9. სააგენტო, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, განახორციელებს მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის 20 (ოცი) პროცენტის ანაზღაურებას.

9[1]. (ამოღებულია - 21.03.2021, №312);

10. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების დამადასტურებელი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა (რომელიც, თავის მხრივ, შედგენილია სააგენტოს მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად) პროგრამის ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს მე-6 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს 12 (თორმეტი) თვისა.

11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილ მთლიან კვალიფიციურ ხარჯზე ამ პროგრამით გათვალისწინებული ანაზღაურების მიღებამდე ბენეფიციარი ვალდებულია, ონლაინპლატფორმის მეშვეობით, სააგენტოში წარადგინოს ანგარიში პროექტის განხორციელებისას გამოვლენილი პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების თაობაზე.

12. სააგენტო, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, დამატებით განახორციელებს მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის 2-დან 5 პროცენტამდე ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საბოლოო პროდუქტი შეიცავს პოპულარიზაციის ელემენტ(ებ)ს. დამატებითი ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ $12^{11}$ მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამის მიმართულების შესაბამისად, საბოლოო პროდუქციისთვის.

13. პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად გათვალისწინებული დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების შესაბამისად გათვალისწინებული მთლიანი ლიმიტირებული კვალიფიციური ხარჯის ანაზღაურებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში. ამასთან, სააგენტოს მიერ დამატებითი ანაზღაურება განხორციელდება პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად მოთხოვნის სააგენტოში წარდგენიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №132 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის დადგენილება №183 - ვებგვერდი, 11.04.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №316 - ვებგვერდი, 05.7.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №312 – ვებგვერდი, 01.07.2021წ.*

**მუხლი $12^{14}$. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები**

ამ პროგრამის $12^{13}$ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულება წყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) პროგრამით დადგენილი პირობებით, სააგენტოს და პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამავე პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ბ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამ პროგრამით დადგენილი წესით ხელშეკრულების დარღვევა ან/და არაჯეროვნად შესრულება, ხელშეკრულებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად;

გ) ამ პროგრამით დადგენილი წესით ხელშეკრულების ვადის დასრულება;

დ) ამ პროგრამის $12^{13}$ მუხლის $6^1$ პუნქტით დადგენილ შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №312 – ვებგვერდი, 01.07.2021წ.*

**მუხლი $12^{15}$. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება**

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. ყოველი საბიუჯეტო წლისათვის ამ პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება 5 მლნ ლარით. ამასთან, სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯამური მოცულობა არის წლის მანძილზე ხელმოწერილი ხელშეკრულებების თანახმად ამ პროგრამის $12^{12}$ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოცულობით სააგენტოს მიერ ასანაზღაურებელი თანხების ჯამი, ამ პროგრამის $12^{13}$ მუხლის $7^1$ პუნქტში დასახელებული ნამატის გათვალისწინებით. ასევე, სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯამური მოცულობა მოიცავს $12^{12}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პოპულარიზაციის ელემენტისთვის განკუთვნილ თანხასაც.

3. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა, დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №312 – ვებგვერდი, 01.07.2021წ.*

## მუხლი 12[16]. სხვა დებულებები

1. ამ პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიღების მიზნით, ამავე პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2021 წლის 15 დეკემბრით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადამდე განაცხადების მიღება შესაძლოა, შეჩერდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მოცულობა გაუტოლდება თითოეული საბიუჯეტო წლისათვის ამ პროგრამის 12[15] მუხლის მე-2 პუნქტში დასახელებულ სააგენტოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების მაქსიმალურ ჯამურ მოცულობას.

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №546 – ვებგვერდი, 15.12.2017წ.*
*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №651 – ვებგვერდი, 27.12.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №312 – ვებგვერდი, 01.07.2021წ.*

# თავი I[3]
# სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმენი საქართველოში ნაწილი

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.*

## მუხლი 12[17]. ტერმინთა განმარტება

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმენი საქართველოში ნაწილის მიზნებისათვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
ა) პროგრამა – სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმენი საქართველოში ნაწილი;
ბ) ინოვაციების სააგენტო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
გ) სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FABLAB) – ლაბორატორია, რომელიც თანამედროვე დაზგა-დანადგარების (მათ შორის, 3D პრინტერის, 3D სკანერის, პროგრამირებადი ჩარხის, ლაზერული მჭრელის და ა.შ.) გამოყენების საშუალებით უზრუნველყოფს ინოვაციური და კრეატიული პროდუქტის შექმნას;
დ) განაცხადი – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის მიერ ინოვაციების სააგენტოსათვის ელექტრონული ფორმით მიმართვა, პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით;
ე) განმცხადებელი – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;
ვ) სახელმწიფო გრანტი – სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შექმენი საქართველოში ნაწილის მიზნებისათვის გაცემული თანხა;
ზ) გრანტის მიმღები – განმცხადებელი, რომელმაც ამ დადგენილების შესაბამისად მიიღო სახელმწიფო გრანტი;
თ) გუნდი – განმცხადებელთა გაერთიანება, რომელიც ერთიანი სახელწოდებით მონაწილეობს პროგრამაში;
ი) პროგრამის ბენეფიციარი – პირი, რომელიც ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად, მონაწილეობს პროგრამაში როგორც პირველ, ასევე მე-2 ეტაპზე;
კ) პროექტი – ფიზიკური პირის მიერ, პროგრამის ფარგლებში, ინოვაციების სააგენტოსათვის წარდგენილ განაცხადში მითითებული ინფორმაციების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს შემდეგს:
კ.ა) ინფორმაციას პროექტის ავტორის შესახებ;
კ.ბ) ინფორმაციას პროექტის შესახებ;
კ.გ) პროექტის ხარჯთაღრიცხვას;
ლ) შესარჩევი კომისია – ინოვაციების სააგენტოს მიერ შექმნილი კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.*

## მუხლი 12[18]. პროგრამის მიზანი და აღწერა

1. პროგრამის მიზანია სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების რესურსების გამოყენებით ინოვაციური პროდუქტის შექმნის ხელშეწყობა, საქართველოში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოების წახალისება, ინოვაციური მეწარმეობის უნარ-ჩვევების განვითარება და კონკურენტუნარიანობის გაზრდა. პროგრამა ხორციელდება 2 ეტაპად.
2. პირველი ეტაპის ფარგლებში ხდება:
ა) განცხადებების მიღება;
ბ) განმცხადებლების გადამზადება საჭიროებების შესაბამისად, ინოვაციების სააგენტოს მიერ მომზადებული შესაბამისი მიმართულების ტრენინგების მოდულების მიხედვით;
გ) შესარჩევი კონკურსისათვის მომზადების მიზნით, სატესტო რეჟიმში მონაწილეთა დაშვება სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიებში პროტოტიპის შესაქმნელად;
დ) შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა.
3. შესარჩევი კომისიის მიერ მე-2 ეტაპზე გადასული პირებისათვის მე-2 ეტაპის ფარგლებში ხდება:
ა) მონაწილისათვის/გუნდისათვის მენტორის დანიშვნა;
ბ) მონაწილის/გუნდის შესაბამის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში უფასოდ დაშვება;
გ) საგრანტო დაფინანსება 200-დან 1000-ლარამდე, რომლის მიზანია პროდუქტის მასალის ხარჯების დაფარვა;
დ) პროგრამის ფარგლებში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც მოიცავს:
დ.ა) ბენეფიციარების მიერ შექმნილი პროდუქტის რეალიზაციისათვის გამოფენა-გაყიდვების ორგანიზებას;
დ.ბ) პროექტის კომერციალიზაციის მიზნით, ბენეფიციარების დაკავშირების ხელშეწყობას კერძო სექტორთან/პოტენციურ ინვესტორებთან (B2B).

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.*

### მუხლი 12[19]. პროგრამის განმახორციელებელ სუბიექტთა უფლებამოსილება
1. პროგრამის კოორდინაციას და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.
2. ინოვაციების სააგენტო:
ა) ახორციელებს პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მოსახლეობისათვის;
ბ) აწარმოებს განაცხადების მიღებას;
გ) ამზადებს და აფორმებს გამარჯვებულ განმცხადებლებთან საგრანტო ხელშეკრულებას;
დ) აწარმოებს ბენეფიციარის მიერ საგრანტო ხელშეკრულების განხორციელების მონიტორინგს;
ე) პროგრამის ბენეფიციარების მონაცემთა აღრიცხვის მიზნით, ქმნის პროგრამის მონაცემთა ბაზას.
3. შესარჩევი კომისია იღებს გადაწყვეტილებას მე-2 ეტაპზე მონაწილეთა გადაყვანის შესახებ.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.*

### მუხლი 12[20]. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება
პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით ინოვაციების სააგენტოსათვის გათვალისწინებული ასიგნებები.

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის დადგენილება №207 - ვებგვერდი, 16.05.2016წ.*

## თავი I[4]. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი 12[21]. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის დადგენილება №16 – ვებგვერდი, 30.01.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №387 – ვებგვერდი, 14.08.2019წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი 12[22]. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი 12[23]. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი 12[24]. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი 12[25]. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი 12[26]. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 ნოემბრის დადგენილება №557 - ვებგვერდი, 22.11.2018წ.*
*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

## თავი I[5]

## სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“

## უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი 12[27]. ტერმინთა განმარტება

ა) **პროგრამა** – „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილი;

ბ) **მეწარმე სუბიექტი** – ამ პროგრამის მიზნებისათვის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი გარდა:

ა.ა) სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის, აგრეთვე სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ პირდაპირი ან არაპირდაპირი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა;

ა.ბ) შვილობილი/მშობელი კომპანიისა, თუ ისინი საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - სეკ 006-2016 (NACE-Rev-2) ერთსა და იმავე განყოფილებაში და თუ მათ მიერ აღებული სესხის/სალიზინგო პროექტის ღირებულება როგორც ცალ-ცალკე, ასევე ჯამურად აჭარბებს ამ პროგრამის 12[29] მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ერთ ბენეფიციარზე ასათვისებელ მაქსიმალურ ჯამურ მოცულობას.

და რომელიც აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ დასახელებულ კრიტერიუმს:

ბ.ა) სახელმწიფოს მიმართ არ აქვს საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე);

ბ.ბ) არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

ბ.გ) არის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად III ან IV კატეგორიის საწარმო, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში (გარდა უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტისა).

ამასთან, პროგრამის 12[38] მუხლის მიზნებისათვის მეწარმე სუბიექტად ითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირი, ზემოთ დასახელებული „ბ.ა“ „ბ.ბ“ და „ბ.გ“ კრიტერიუმის დაკმაყოფილების გარეშეც;

გ) **პროგრამის ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელსაც სააგენტოსგან დადასტურებული აქვს შესაბამისი სესხი/სალიზინგო პროექტი. ამასთან, მეწარმე სუბიექტი სააგენტოსგან შესაბამისი

დადასტურების მიღების შემდეგ ბენეფიციარად მიიჩნევა თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში პროექტის დამტკიცების თაობაზე კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ სააგენტოში შესაბამისი შეტყობინების წარდგენის მომენტიდან. ამასთან, პროგრამის ბენეფიციარად მიიჩნევა ამ პროგრამის $12^{38}$ მუხლის შესაბამისად საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსების ნაწილში ჩართული მეწარმე სუბიექტიც;

დ) **პროექტი** – უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში დამტკიცებული პროექტი;

ე) **სალიზინგო პროექტი** – პროგრამის თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში, ლიზინგის გამცემსა და მეწარმე სუბიექტს (ლიზინგის საგნის პოტენციურ მიმღებს) შორის შეთანხმებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დადგენილი პერიოდულობით გადასახდელი საზღაურის სანაცვლოდ ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სალიზინგო საგნის გაცემას ამ საგნის შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, გარდა ისეთი სალიზინგო პროექტისა, რომლითაც ლიზინგის გამცემი მეწარმე სუბიექტისგან იძენს ლიზინგის საგანს, შემდგომ ამ უკანასკნელის მიერ მასზე საკუთრების უფლების დაბრუნების მიზნით (უკულიზინგი) ან/და ისეთი სალიზინგო პროექტისა, რა დროსაც ხდება ლიზინგის მიმღებისათვის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ან/და უძრავი ქონების ლიზინგით გადაცემა ან/და სალიზინგო საზღაურის გადახდა პროდუქციით;

ვ) **პროექტის თანადაფინანსება/სალიზინგო პროექტის თანადაფინანსება** – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მხრიდან კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის პროგრამით განსაზღვრული პირობებით დაფარვა;

ზ) **ლიზინგის საგნის ღირებულება** – ლიზინგით გადასაცემი ქონების საწყისი ღირებულება და დამატებითი მომსახურების ღირებულება (ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგანთან დაკავშირებით გაწეული ტრანსპორტირების, მართვის, დაზღვევის, საგარანტიო მომსახურების, რემონტის, სხვა მსგავსი მომსახურების, ქონების და ამ ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებისათვის გადახდილი/გადასახდელი გადასახადების ღირებულება), ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელსაც შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაერიცხება წლიური საპროცენტო განაკვეთი;

თ) **ლიზინგის საგანი** – პროგრამის ფარგლებში ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე ლიზინგით გაცემული ქონება;

ი) **კომერციული ბანკი** – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომერციული ბანკ(ებ)ი, რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში, პროგრამის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაფორმებულია სათანადო ხელშეკრულება;

კ) **ლიზინგის გამცემი** – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სალიზინგო პროექტს (ლიზინგით გასცემს ლიზინგის საგანს) და პროგრამის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოსთან გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება;

ლ) **სამინისტრო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

მ) **სააგენტო** – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

ნ) **სესხის რეფინანსირება** – პროგრამის ბენეფიციარის მიერ მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე კრედიტის გადაფარვა იმავე ან სხვა კომერციულ ბანკში აღებული რეფინანსირების კრედიტით, რომელიც არ აჭარბებს გადასაფარი კრედიტის დამტკიცებულ მოცულობას და მოიცავს მხოლოდ გადასაფარი კრედიტის ძირსა და კრედიტზე არსებულ დამტკიცებულ, აუთვისებელ თანხას. ამასთან, დამტკიცებული, აუთვისებელი თანხა თავის მხრივ უნდა გაიცეს ამ დადგენილების $12^{36}$ მუხლით განსაზღვრული მიზნობრიობით. ამასთან, ამ პროგრამის

მიზნებისათვის არ დაიშვება მიმდინარე კრედიტის უცხოურ ვალუტაში რეფინანსირება;

ო) **სალიზინგო პროექტის რეფინანსირება** – პროგრამის ბენეფიციარის მიერ მხოლოდ ამ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე სალიზინგო პროექტის შესაბამისი ლიზინგის საგნის ღირებულების ნარჩენი თანხის გადაფარვა იმავე ან სხვა ლიზინგის გამცემთან ამ დადგენილების $12^{37}$ მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ახალი სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმების გზით. ამასთან, ამ პროგრამის მიზნებისათვის არ დაიშვება მიმდინარე სალიზინგო პროექტის უცხოურ ვალუტაში რეფინანსირება;

პ) **სასტუმრო** – შენობა ან/და შენობა-ნაგებობათა ერთობლიობა, თავისი ინფრასტრუქტურით, რომელიც პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროდ. ასევე შენობის ერთი ან რამდენიმე ნაწილი, ერთად ან ცალ-ცალკე, რომელშიც პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროს არანაკლებ 10 (ათი) ნომრისა, დანართ №3-ის შესაბამისად;

ჟ) **საერთაშორისო ბრენდი** – სასაქონლო ნიშანი, რომლითაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ოპერირებს არანაკლებ 15 (თხუთმეტი) სასტუმრო ან/და სასაქონლო ნიშანთა მმართველი კომპანია/ჯგუფი (უცხოური საწარმო), რომელიც ოპერირებს საქართველოს გარდა არანაკლებ 50 სასტუმროთი, რომელთანაც მეწარმე სუბიექტს გაფორმებული აქვს საერთაშორისო ბრენდის გამოყენების ან/და სასტუმროს მმართველი უცხოური საწარმოს სასაქონლო ნიშნის სარგებლობისთვის განსაზღვრული ხელშეკრულება;

რ) **სასტუმრო ინდუსტრია** – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის (საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-Iს დადგენილების ამოქმედებამდე არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში) ტერიტორიების გარდა, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე. პროგრამის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობა გულისხმობს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფოსგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებული სარგებლობის ნებისმიერი ფორმით მიღებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და წარმოშობილია არანაკლებ კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სესხის/ლიზინგის საგნის გაცემიდან ბენეფიციარის მიერ პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ვადით დადებული ხელშეკრულებით;

ს) **ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია** – ამ მუხლის „რ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ამ დადგენილების დანართი N4 - ში მოცემულ ბალნეოლოგიური კურორტებისათვის განსაზღვრულ გეოგრაფიულ ლოკაციაზე;

ტ) **ტურისტული სერვისები** – თემატური პარკების ან/და სათავგადასავლო ტურიზმის მიმართულება, რომელიც ხორციელდება დანართ №5-ის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო პირობებით და რომლის ფარგლებშიც დამატებით საქმიანობად შეიძლება განისაზღვროს დანართ №5-ში მოცემული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი:

თემატური პარკები – გარკვეული თემატიკით შექმნილი გასართობი პარკების სახეობა, რომელიც მოიცავს ეთნო/ეთნოგრაფიულ პარკსა და ვეიკ პარკს (Wake park):

– ეთნო/ეთნოგრაფიული პარკი – ხელოვნურად შექმნილი ავთენტური დასახლების იმიტაცია, დამახასიათებელი არქიტექტურითა და ინფრასტრუქტურით, რომელიც წარმოაჩენს გარკვეული ეთნიკური ჯგუფის ქვემოთ მოცემული ცხოვრების სტილისა და ეთნოგრაფიული მახასიათებლებიდან ერთ-ერთს მაინც: ცხოვრების წესი, სამზარეულო, რელიგია, ტრადიციული სამოსი;

– ვეიკ პარკი (Wake park) – წყლის თხილამურებით/წყლის დაფით სრიალისთვის, სერფინგისა და სხვა სათავგადასავლო წყლის აქტივობებისთვის შექმნილი, არანაკლებ 3 (სამი) ჰექტარის ფართობზე განთავსებული პარკი, რომელიც დამატებით უნდა მოიცავდეს ისეთ სერვისებს, როგორიცაა: კვების ობიექტი ან/და საწყლოსნო სპორტის სახეობების ინვენტარის მაღაზია ან/და სპორტსკოლა და ა. შ.;

სათავგადასავლო ტურიზმი – ტურიზმის სახეობა, რომელიც მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის

(UNWTO) განმარტებით, ჩამოთვლილი სამი ელემენტიდან მოიცავს, სულ მცირე, ორ ელემენტს: ფიზიკურ აქტივობას, ბუნებრივ გარემოში/ბუნებაში ყოფნასა და კულტურულ ელემენტს. აღნიშნული მოიცავს: სახმელეთო ტურიზმის სახეობებს, საწყლოსნო ტურიზმის სახეობებს, საჰაერო ტურიზმის სახეობებს;

უ) **აგრო ტურისტული ინდუსტრია** - ფერმერული მეურნეობა, სადაც დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით საკუთარი წარმოებული პროდუქტის გამოყენებით ხდება მეურნეობის ტერიტორიაზე დასახელებული ტურისტული მომსახურებიდან ერთ-ერთის შეთავაზება მაინც: განთავსება, კვებით მომსახურება, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობი, რეკრეაციული და სხვა აქტივობა. მეურნეობის აგრო ტურისტულად მიჩნევისათვის აუცილებელია, მისი განმახორციელებელი პირი აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას:

უ.ა) საკუთრების ან მართლზომიერი სარგებლობის უფლებით უნდა ფლობდეს ფერმერულ მეურნეობას;

უ.ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, რეგისტრირებული უნდა იყოს ბიზნესოპერატორად;

უ.გ) რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფერმათა/ფერმერთა რეესტრში;

ფ) **ეკო ტურისტული ინდუსტრია** - ეკოტურიზმის სერვისთა ერთობლიობით შექმნილი ღირებულებათა ჯაჭვი, რომელთა შორისაც პრიორიტეტად მიიჩნევა და სავალდებულოა შემდგომი ტიპის მომსახურებებიდან ერთ-ერთის არსებობა:

- რეგიონისთვის სახასიათო საცხოვრებელი არქიტექტურის განთავსება (10 ნომრამდე)

არსებული შენობა-ნაგებობა, რომელიც არის რეგიონისთვის დამახასიათებელი ავთენტური არქიტექტურის და განკუთვნილია განთავსების ობიექტად განვითარებისა და ფუნქციონირებისთვის, ერთდროულად (დროის ერთ მონაკვეთში) მინიმუმ 8 სტუმრის გამასპინძლების შესაძლებლობით, მაქსიმუმ 10 სანომრე ფონდით.

- ტრადიციული რეწვის სახელოსნო საჩვენებელი, ტურისტული შეთავაზებით

არსებული, მოქმედი სახელოსნო საქმიანობისთვის გამორჩეული სახასიათო ელემენტებით, რომელსაც გაჩნია არანაკლებ 10 ადამიანზე გათვლილი საჩვენებელი სივრცე და ასევე არანაკლებ 5 ადამიანზე გათვლილი მასტერკლასის ჩატარების შესაძლებლობა.

- გაქირავების სერვისი - (მათ შორის არამოტორიზებული ტიპის გადაადგილების საშუალებები)

აღნიშნული მოიცავს ველოსიპედის, ცხენის, საწყალოსნო არამოტორიზებული ტრანსპორტის ნაირსახეობების, სეზონური ჩასაბმელი საშუალებების (მაგ. მარხილი, ეტლი და ა.შ.) და მათთან დაკავშირებული უსაფრთხოების ან/და სხვა აღჭურვილობის/ინვენტარის გაქირავებას, რომელიც გამოიყენება ბუნებაში გადაადგილებისას და ბუნების აღქმისა და დაკვირვებისათვის.

ქ) **პარალელური კრედიტი/პარალელური სალიზინგო პროექტი** – კრედიტის გამცემის/ლიზინგის საგნის გამცემის მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ერთსა და იმავე ინდუსტრიაში, ერთსა და იმავე ბენეფიციართან შეთანხმებული ერთზე მეტი პროექტი/სალიზინგო პროექტი;

ღ) **გუდვილი** – ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS 3) შესაბამისად განსაზღვრული გუდვილი;

ყ) **შემოსავალი** – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული შემოსავალი;

შ) **შვილობილი კომპანია** – მეწარმე სუბიექტი, რომელშიც პროგრამის ბენეფიციარი ფლობს წილის 50 ან მეტ პროცენტს;

ჩ) **მშობელი კომპანია** - მეწარმე სუბიექტი, რომელიც ფლობს პროგრამის ბენეფიციარის წილის 50 ან მეტ პროცენტს;

ც) **სასესხო შეთანხმება** - „საქართველოს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დახმარებისა და აღდგენის“ პროექტის განხორციელების მიზნით საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის 2021 წლის 17 მაისს გაფორმებული სესხის ხელშეკრულება.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

## მუხლი $12^{28}$. პროგრამის მიზანი და აღწერა

1. პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა, ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეების დაძლევის მიზნით კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა მათთვის ბიზნესის ხელშემწყობი მრავალფეროვანი და უნივერსალური მექანიზმის შეთავაზებით.

2. პროგრამის კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ზედამხედველობას.

3. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს სააგენტო.

4. პროგრამის არამიზნობრივი განხორციელების აღმოჩენის შემთხვევაში ან/და პროგრამით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტო იმოქმედებს პროგრამის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

5. ამ პროგრამის განხორციელებიდან გამომდინარე, ნებისმიერი დავა განიხილება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

7. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

8. პროგრამით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამით განსაზღვრულ პირობებს. ამასთან, თუ კონკრეტულ სესხთან/სალიზინგო პროექტთან მიმართებით კომერციული ბანკი/ლიზინგის გამცემი სარგებლობს სასესხო შეთანხმების პროექტით, ამ შემთხვევაში გარდა პროგრამით განსაზღვრული პირობებისა როგორც მეწარმე სუბიექტი, ასევე თავად ბანკი/ლიზინგის გამცემი უნდა აკმაყოფილებდეს სასესხო შეთანხმების ყველა სავალდებულო პირობას, რომელიც გაწერილი იქნება სააგენტოსა და კომერციულ ბანკს/ლიზინგის გამცემს შორის ამ დადგენილების $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

## მუხლი $12^{29}$. პროგრამის მიმართულებები და ლიმიტები

1.პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) თანადაფინანსების მიმართულება:

ა.ა) კომერციული ბანკის მიერ გაცემულ სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება (სესხის კომპონენტი),

ა.ბ) ლიზინგის გამცემის მიერ გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება (ლიზინგის კომპონენტი),

ა.გ) საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსების კომპონენტი.

ბ) საგარანტიო მიმართულება – კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის გარანტირება;

გ) საგრანტო მიმართულება - გრანტის გაცემა ბენეფიციარზე;

დ) უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულება.

2. პროგრამა ემსახურება შემდეგ მიზნობრივ ინდუსტრიებს:

ა) წარმოების ინდუსტრია - დანართი $1^{1}$-ის შესაბამისად,

ბ) სასტუმრო ინდუსტრია/ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია - დანართი N3 და დანართი N4-ის შესაბამისად,

გ) ტურისტული სერვისების ინდუსტრია - დანართი N5-ის შესაბამისად,

დ) აგრო ტურისტული ინდუსტრია,

ე) ეკო ტურისტული ინდუსტრია.

3. პროგრამის ფარგლებში ერთ სესხთან მიმართებით მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია გამოიყენოს როგორც თანადაფინანსების მიმართულება, ასევე საგარანტიო მიმართულება. ამასთან, იგი უფლებამოსილია ისარგებლოს საგრანტო მიმართულებაც თუ მისი საქმიანობა თავსდება დანართი N9 - ით დადგენილ ჩამონათვალში.

4. პროგრამის ფარგლებში ერთ სალიზინგო პროექტთან მიმართებით მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია გამოიყენოს თანადაფინანსების მიმართულება. ამასთან, იგი უფლებამოსილია ისარგებლოს საგრანტო მიმართულებითაც თუ მისი საქმიანობა თავსდება დანართი N9 - ით დადგენილ ჩამონათვალში.

5. პროგრამის ფარგლებში სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით ერთ სესხთან/სალიზინგო პროექტთან მიმართებით მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია გამოიყენოს სესხის/ლიზინგის კომპონენტი ან/და საგარანტიო მიმართულება (სესხის კომპონენტით სარგებლობის შემთხვევაში) ან/და საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსების კომპონენტი.

6. მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია ისარგებლოს მხოლოდ საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსების კომპონენტითაც სესხისა და ლიზინგის კომპონენტების გამოყენების გარეშე. ამასთან, საერთასორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსებით სარგებლობის უფლება მეწარმე უსბიექტს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში აქვს მხოლოდ ერთხელ.

7. პროგრამის ფარგლებში ერთ სესხთან/სალიზინგო პროექტთან მიმართებით მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია გამოიყენოს უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტიც ამ დადგენილების პირველი თავის მე-7 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ მისი ეკონომიკური საქმიანობა თავსდება როგორც დანართ $1^{1}$-ში, ასევე დანართ N8-შიც.

8. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრედიტ(ებ)ი/სალიზინგო პროექტები გაიცემა მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

9. პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარის მიერ ასათვისებელი სესხ(ებ)ის/ლიზინგის საგნების ღირებულების მინიმალური მოცულობაა - 50 000 ლარი, ხოლო მაქსიმალური ჯამური მოცულობაა 10 მლნ ლარი.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

## მუხლი 12$^{30}$. მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობები

1.პროგრამის ფარგლებში სამიზნე ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი (წარმოების ინდუსტრია) განსაზღვრულია ამ დადგენილების დანართ N1$^{1}$-ში.

2.პროგრამის საგრანტო კომპონენტით სარგებლობის შემთხვევაში მეწარმე სუბიექტის საქმიანობა უნდა თავსდებოდეს დანართ N9-ში.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### თანადაფინანსების მიმართულება

## მუხლი 12$^{31}$. მიმართულების განმახორციელებელ სუბიექტთა უფლებამოსილება

1. სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ დამტკიცებული და სააგენტოს მიერ დადასტურებული პროექტებისათვის უზრუნველყოფს:

ა) კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კომპონენტის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ლიმიტების შესაბამისად;

ბ) თანადაფინანსების მიმართულების საინფორმაციო-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას;

გ) საერთაშორისო ბრენდის გადასახადის თანადაფინანსებას ამ დადგენილების 12$^{38}$ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს/ლიზინგის გამცემს შორის თანადაფინანსების მიმართულების სესხის/ლიზინგის კომპონენტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულებები.

3. კომერციული ბანკი/ლიზინგის გამცემი, ამ პროგრამისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, უფლებამოსილია, ამ კომპონენტის ფარგლებში გასცეს სესხი/ლიზინგის საგანი ბენეფიციარზე.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

## მუხლი 12$^{32}$. სესხის/ლიზინგის კომპონენტის აღსრულების პროცედურა

1. პროგრამაში მონაწილეობის მსურველი ფიზიკური პირი, თანადაფინანსების მიმართულების ფარგლებში, მიმართავს კომერციულ ბანკს/ლიზინგის გამცემს.

2. კომერციული ბანკი/ლიზინგის გამცემი ამოწმებს მეწარმე სუბიექტის შესაბამისობას მიმართულების კრიტერიუმებთან და შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში სააგენტოში აგზავნის სესხისა/სალიზინგო პროექტისა და მსესხებლის შესახებ ინფორმაციას, სააგენტო მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა ახორციელებს სესხი/სალიზინგო პროექტის დადასტურებას, რის შემდეგაც ბანკი/ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია გასცეს სესხი/სალიზინგო პროექტი.

3.კომერციული ბანკი/ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია კომპონენტის ფარგლებში სესხი/ლიზინგის საგანი გასცეს როგორც ფიქსირებულ, ასევე მცურავ საპროცენტო განაკვეთში.

4. კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ გაცემულ კრედიტზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ მიმართულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ კრედიტის/ლიზინგის პარალელური კრედიტის/პარალელური სალიზინგო პროექტის შემთხვევაში – კრედიტების მთლიანი მოცულობა აღემატება, პროგრამით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, ამ მიმართულებით

გათვალისწინებული თანადაფინანსება გავრცელდება მხოლოდ მიმართულების ფარგლებში აღებულ იმ სესხ(ებ)ზე/სალიზინგო პროექტებზე, რომელთა (ჯამური) მოცულობა არ აღემატება პროგრამით განსაზღვრულ სესხის/ლიზინგის საგნის ღირებულების მაქსიმალურ მოცულობას.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი $12^{33}$ პროგრამის ბენეფიციარის ვალდებულებები

1.ამ პროგრამის ფარგლებში სააგენტოს წინაშე არსებული ბენეფიციარის ვალდებულებები მოცემულია ბანკს/ლიზინგის გამცემს და ბენეფიციარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

2. ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) პროგრამაში მონაწილეობის ვადით საკუთრებაში ან სარგებლობაში იქონიოს (გარდა სასტუმრო/ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიისა, რომელიც რეგულირდება ამ დადგენილების $12^{27}$ მუხლის „რ“ და „ს“ ქვეპუნქტების შესაბამისად) ის უძრავი ქონება, სადაც ხდება მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება.

ბ) მიზნობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, ბენეფიციარი ვალდებულია უზრუნველყოს სამეურნეო/ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების შშმ პირების შეუფერხებელი დაშვება პანდუსების ან/და მსგავსი საშუალებების გამოყენებით;

გ) თანამშრომელთა შერჩევის ეტაპზე, ერთი და იმავე კვალიფიკაციის კანდიდატებს შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ(ებ)ისათვის უპირატესობის მინიჭება;

დ) მხოლოდ ლიზინგის კომპონენტის ფარგლებში: განახორციელოს სალიზინგო პროექტით განსაზღვრული თანამონაწილეობის თანხის გადახდა სალიზინგო კომპანიის წინაშე სალიზინგო პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში. ამ ვადის დარღვევით თანამონაწილეობის თანხის გადახდის შემთხვევაში სააგენტო არ განახორციელებს ამ სალიზინგო პროექტზე თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვას. რის შემდგომაც დასახელებული მეწარმე სუბიექტი კარგავს პროგრამის ბენეფიციარის სტატუსს და უფლებამოსილია, როგორც მეწარმე სუბიექტმა პროგრამით სარგებლობის თაობაზე ხელახლა მიმართოს ლიზინგის გამცემს ამ პროგრამით დადგენილი წესის დაცვით;

ე) მხოლოდ სესხის კომპონენტის ფარგლებში: სესხის/სესხის პირველი ტრანშის (რომელიც, არ უნდა იყოს ამ დადგენილების $12^{35}$ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ სესხის მინიმალურ მოცულობაზე ნაკლები) ათვისება სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში. ამ ვადის დარღვევით სესხის/სესხის ტრანშის გაცემის შემთხვევაში სააგენტო არ განახორციელებს ამ სესხზე თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვას. რის შემდგომაც დასახელებული მეწარმე სუბიექტი კარგავს პროგრამის ბენეფიციარის სტატუსს და უფლებამოსილია, როგორც მეწარმე სუბიექტმა პროგრამით სარგებლობის თაობაზე ხელახლა მიმართოს კომერციულ ბანკს ამ პროგრამით დადგენილი წესის დაცვით;

ვ) მხოლოდ სესხის კომპონენტის ფარგლებში: სესხის სრული ათვისება სააგენტოს მიერ სესხის დადასტურებიდან არაუგვიანეს 2 წლის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სესხის დარჩენილი ნაწილის ათვისების შემთხვევაში, სააგენტო განახორციელებს მხოლოდ სესხის იმ ნაწილზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსებას, რომელიც გაცემულია დადასტურებიდან არაუგვიანეს 2 წლის ვადაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის შშმ პირთა სტატუსის დადგენისათვის გამოიყენება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული, შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი $12^{34}$. თანადაფინანსების შეწყვეტის პირობები**

1. კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება და ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სააგენტოს მიერ წყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) ამ პროგრამით დადგენილი პირობებით, სააგენტოს, კომერციული ბანკის, ლიზინგის გამცემისა და პროგრამის ბენეფიციარის მიერ ამავე პროგრამით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

ბ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ შესაბამის კომერციულ ბანკთან/ლიზინგის გამცემთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, კერძოდ, სესხის/სალიზინგო პროექტის გრაფიკით გათვალისწინებული მინიმალური შენატანის ზედიზედ 120 (ას ოცი) დღეზე მეტი ვადაგადაცილება ან/და კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღება;

გ) პროექტის ფარგლებში გაცემული კრედიტის/ლიზინგის პროგრამით განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ რესტრუქტურიზაცია, რეფინანსირება;

დ) პროგრამის ბენეფიციარის მიერ სესხის კომპონენტში $12^{36}$ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული სესხის მიზნობრიობის დარღვევა;

ე) ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ დადგენილების დარღვევით პროექტის დამტკიცება. აღნიშნულ შემთხვევაში სააგენტო შეწყვეტს კონკრეტული პროექტის თანადაფინანსებას და მოითხოვს გადახდილი თანადაფინანსების თანხების უკან დაბრუნებას.

2. კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა და ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სააგენტოს მიერ შეიძლება, შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ პროგრამით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. პროგრამის ბენეფიციარის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო (მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში) სააგენტოს მიერ თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია, დააბრუნოს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში გადახდილი თანხები.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

## სესხის კომპონენტი

**მუხლი $12^{35}$. სესხის კომპონენტის აღწერა**

1. სესხის კომპონენტის ფარგლებში სააგენტო, ახორციელებს კომერციული ბანკის მიერ მიმართულების ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სესხის ვადით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 5 პროცენტის ოდენობით. ამასთან სააგენტოს მიერ თანადაფინანსების თანხის ოდენობის (მათ შორის სააგენტო უფლებამოსილია ყოველთვიური თანადაფინანსების თანხის დათვლა განახორციელოს გრაფიკით გათვალიწინებული წინა გადახდიდან მიმდინარე გადახდამდე გასული პერიოდისთვის გრაფიკით გათვალიწინებული გადახდის დღეს არსებულ სესხის საწყის ძირზე იმ დღეს მოქმედი რეფინანსირების განაკვეთის გამოყენებით), რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში შეცვლილი განაკვეთის ასახვისა და გადახდის წესი რეგულირდება კომერციულ ბანკს და სააგენტოს შორის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

2. სააგენტო ამ მუხლის პირველი პუნქტის აღსრულების მიზნით თანადაფინანსების თანხას რიცხავს

კომერციულ ბანკში სპეციალურად აღნიშნული მიზნით გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე.

3. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;

– მაქსიმალური მოცულობა – 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს.

4. კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ კრედიტის, პარალელური კრედიტის შემთხვევაში – კრედიტების მთლიანი მოცულობა აღემატება, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, ამ პროგრამის სესხის კომპონენტი გავრცელდება მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე.

5. სააგენტო კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გახსნილ ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე გადარიცხვით, ხოლო ბანკის მიერ მსესხებლის კონკრეტული ვალდებულებისათვის თანხის მიმართვის წესი რეგულირდება ბანკსა და სააგენტოს შორის ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. კომერციული ბანკი ვალდებულია, სააგენტოს წილი ვალდებულების (თანადაფინანსების) ბენეფიციარისათვის დაფარვის შემდეგ, სატრანზიტო ანგარიშზე თანხის დარჩენის შემთხვევაში, ნაშთი დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს.

6. ამ პროგრამის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სააგენტოსა და კომერციულ ბანკს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, პროგრამის ბენეფიციარს კომერციული ბანკის მიმართ არ წარმოეშობა წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა. ამასთან, წინსწრების საკომისიოდ არ მიიჩნევა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ Risk Sharing Framework – ის ფარგლებში გაცემული სესხისათვის მსესხებლის მიერ სესხის მომსახურების გრაფიკს გარეთ, ვადამდე, სესხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში ბანკის მიერ დაწესებული საკომისიო;

ბ) კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში კრედიტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა იზრდებოდეს კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა;

გ) კომერციული ბანკი ვალდებულია, მოახდინოს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის წლიური შემოსავლის გადამოწმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge). ბანკი ვალდებულია, უარი უთხრას მეწარმე სუბიექტს პროგრამაში ჩართვაზე, თუ გადამოწმების შედეგად დადგინდება, რომ იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ კვალიფიცირდება მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ;

დ) კრედიტის გაცემისას დარღვევების დაფიქსირების, მათ შორის, კრედიტის გაცემისას ამ პროგრამით ან/და ამ პროგრამის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომერციულ ბანკს ეკისრება ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯარიმა;

ე) კომერციული ბანკის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კრედიტის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში დასაშვებია პარალელური კრედიტის გაცემა;

ვ) კომერციული ბანკის ვალდებულება აწარმოოს მონიტორინგი სატრანზიტო ანგარიშზე თანხების

ბრუნვის თაობაზე და სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან შეთანხმებული პერიოდულობით;

ზ) კომერციული ბანკის ვალდებულება მასსა და მსესხებელს შორის დასადებ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ამ პროგრამის $12^{33}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბებული ბენეფიციარის ვალდებულებები და ამ ვალდებულბების შეუსრულებლობის შესაბამისი სანქციები.

7. ერთი პროექტის ფარგლებში შესაძლებელია, კომერციული ბანკის მიერ დამტკიცდეს/გაიცეს ერთი ან რამდენიმე კრედიტი.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### მუხლი $12^{36}$. სესხის მიზნობრიობა

პროგრამაში სესხი გაიცემა მხოლოდ შემდეგი ორი მიზნობრიობით:

ა) წარმოებისათვის/მომსახურების გაწევისთვის საჭირო ძირითადი საშუალებებისთვის – გაცემული სესხის მოცულობის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პროცენტისა;

ბ) წარმოებისათვის/მომსახურების გაწევისთვის საჭირო საბრუნავი საშუალებებისთვის – გაცემული სესხის არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) პროცენტისა.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

## ლიზინგის კომპონენტი

### მუხლი $12^{37}$. ლიზინგის კომპონენტის აღწერა

1. ლიზინგის კომპონენტის ფარგლებში სააგენტო, ახორციელებს ლიზინგის გამცემის მიერ გაცემულ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სალიზინგო პროექტის ვადით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს გამოკლებული 3 პროცენტის ოდენობით. ამასთან სააგენტოს მიერ თანადაფინანსების თანხის ოდენობის (მათ შორის სააგენტო უფლებამოსილია ყოველთვიური თანადაფინანსების თანხის დათვლა განახორციელოს გრაფიკით გათვალიწინებული წინა გადახდიდან მიმდინარე გადახდამდე გასული პერიოდისთვის გრაფიკით გათვალიწინებული გადახდის დღეს არსებულ ლიზინგის საგნის ღირებულების საწყის ძირზე იმ დღეს მოქმედი რეფინანსირების განაკვეთის გამოყენებით), რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში შეცვლილი განაკვეთის ასახვისა და გადახდის წესი რეგულირდება ლიზინგის გამცემს და სააგენტოს შორის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

2. სააგენტო ამ მუხლის პირველი პუნქტის აღსრულების მიზნით თანადაფინანსების თანხას რიცხავს კომერციულ ბანკში სპეციალურად აღნიშნული მიზნით გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე.

3. პროგრამის ფარგლებში ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულების:

- მინიმალური მოცულობა შეადგენდეს არანაკლებ 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო - მაქსიმალური ჯამური მოცულობა 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს.

4. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია ისეთი პარალელური ლიზინგი, რომლის დროსაც ხდება ერთ პროგრამის ბენეფიციარზე ერთსა და იმავე ინდუსტრიაში რამდენიმე სალიზინგო პროექტის გაცემა, რომელთა ჯამური მოცულობაც არ აღემატება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ მაქსიმალურ ჯამურ მოცულობას.

5. სააგენტო ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის დადგენილ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე გადარიცხვით, ლიზინგის გამცემსა და ბენეფიციარს შორის შეთანხმებული

გრაფიკის შესაბამისად, სააგენტოსა და ლიზინგის გამცემს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დარიცხვის გრაფიკის შესაბამისად, წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად, გადარიცხული თანხის მიმართვის ვალდებულება ეკისრება ლიზინგის გამცემს. ლიზინგის გამცემი ვალდებულია, სააგენტოს წილი ვალდებულების (თანადაფინანსების) ბენეფიციარისათვის დაფარვის შემდეგ, სატრანზიტო ანგარიშზე თანხის დარჩენის შემთხვევაში, ნაშთი დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს.

6. ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ერთ ბენეფიციარზე გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულების მოცულობა, რომელიც აკმაყოფილებს ამ პროგრამით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ ღირებულების მთლიანი მოცულობა აღემატება ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, ამ პროგრამის ლიზინგის კომპონენტი გავრცელდება მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე.

7. ამ პროგრამის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სააგენტოსა და ლიზინგის გამცემთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) ლიზინგის გაცემის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს სალიზინგო პროექტის ჯამური ღირებულების 0.1%-ს;

ბ) ლიზინგის ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, წინსწრებით გადახდის საკომისიო და/ან ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს წინსწრებით გადახდილი თანხის 2%-ს. შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის შემდეგ, ლიზინგის ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე გადახდის შემთხვევაში, წინსწრების საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს წინსწრებით გადახდილი თანხის 1%-ს;

გ) პროგრამის ბენეფიციარი ვალდებულია, ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვამდე 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვის შესახებ;

დ) ლიზინგის გამცემი ვალდებულია, მოახდინოს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის წლიური შემოსავლის გადამოწმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალურ ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge). ლიზინგის გამცემი ვალდებულია, უარი უთხრას მეწარმე სუბიექტს პროგრამაში ჩართვაზე, თუ გადამოწმების შედეგად დადგინდება, რომ იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ კვალიფიცირდება მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ;

ე) სალიზინგო პროექტის პროგრამით დადგენილი პირობების დარღვევით გაცემის ან/და ამ პროგრამის $12^{31}$ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემს ეკისრება ამავე ხელშეკრულებით დადგენილი ჯარიმა;

ვ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სალიზინგო პროექტის რეფინანსირების შემთხვევაში, არ უნდა გაიზარდოს სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა;

ზ) ლიზინგის გამცემის ვალდებულება აწარმოოს მონიტორინგი სატრანზიტო ანგარიშზე თანხების ბრუნვის თაობაზე და სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია მასთან შეთანხმებული პერიოდულობით;

თ) ლიზინგის გამცემის ვალდებულება მასსა და ლიზინგის საგნის მიმღებს შორის დასადებ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ამ პროგრამის $12^{33}$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბებული ბენეფიციარის ვალდებულებები და ამ ვალდებულბების შეუსრულებლობისათვის გათვალიწინებული სანქციები.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების კომპონენტი

## მუხლი $12^{38}$. საერთაშორისო ბრენდის კომპონენტის აღწერა

1.სააგენტო, სასტუმრო ინდუსტრიისა და ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიისთვის გარდა თანადაფინანსების მიმართულების სესხისა და ლიზინგის კომპონენტების განხორციელებისა, ახდენს მეწარმე სუბიექტის მიერ საერთაშორისო ბრენდის გამოყენების საზღაურის დაფინანსებას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2. საერთაშორისო ბრენდის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისთვის ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის განმავლობაში დარიცხული და ამ პერიოდზე 41 (ორმოცდაერთი) თვის მანძილზე გადახდილი გადასახადის ანაზღაურებას არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის ოდენობით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული თვის განმავლობაში, სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. თუ ამ პუნქტით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა აღემატება წელიწადში 300 000 (სამასი ათასი) ლარს, ამ პროგრამის საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება გავრცელდება მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე.

3. საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის პროგრამის ბენეფიციარის მიერ გადახდილი საფასურის სააგენტოს მიერ ანაზღაურება ხდება ეროვნულ ვალუტაში, პროგრამის ბენეფიციარის მიერ თანხის გადახდის დღისთვის ან სააგენტოს მიერ თანხის გადარიცხვის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, იმის მიხედვით, რომელიც არის უმცირესი.

4. სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში (მიუხედავად მისი შესაბამისი თავებისა) საერთაშორისო ბრენდის თანადაფინანსების გამოყენების შესაძლებლობა პროგრამის ბენეფიციარს აქვს მხოლოდ ერთხელ.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### საგარანტიო მიმართულება

## მუხლი $12^{39}$. მიმართულების განხორცილების პროცედურა

1. ამ პროგრამის საგარანტიო კომპონენტის ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხებიდან გამომდინარე კომერციული ბანკ(ებ)ის ფინანსური რისკის გადანაწილებას, ამ მუხლით განსაზღვრული პირობებისა და ლიმიტების შესაბამისად.

2. ამ პროგრამის საგარანტიო მიმართულების გამოყენება შეიძლება მხოლოდ სესხის კომპონენტთან კომბინაციით.

3.ამ პროგრამის საგარანტიო მიმართულების რეგულირებისათვის გამოიყენება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამა „საკრედიტო საგარანტიო სქემა“ (შემდგომში - საგარანტიო სქემა) ამ მუხლის მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

4. პროგრამაში მონაწილე თითოეული კომერციული ბანკისთვის საკრედიტო გარანტია გაიცემა შემდეგი ლიმიტების შესაბამისად:

ა) პროგრამის ფარგლებში დროის ნებისმიერი მომენტისთვის არსებული ფაქტობრივი პორტფელის არაუმეტეს 35 პროცენტის ოდენობაზე;

ბ) პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ გაცემულ თითოეულ სესხზე სესხის ძირი თანხის ბანკის მიერ მეწარმე სუბიექტთან შეთანხმებით მოთხოვნილ, თუმცა არაუმეტეს სესხის ძირი თანხის 60 პროცენტის ოდენობაზე.

5. საკრედიტო სქემის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სააგენტოს მიერ სადეპოზიტო ანგარიშებზე ჩასარიცხი საგარანტიო თანხის ოდენობა და ამავე მუხლის $7^1$ და $8^1$ პუნქტებით განსაზღვრული სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა (არასაბიუჯეტო სახსრები) შემოსავლების ანგარიშზე დაფარვების შესაბამისად ბანკის მიერ, ასევე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების საფუძველზე, ჩასარიცხი თანხის ოდენობა დაითვლება ამ მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებული ლიმიტების გათვალიწინებით.

6. საკრედიტო სქემის მე-7 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული თანხის ოდენობა დაითვლება ამ მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებული ლიმიტების გათვალიწინებით.

7. ამ მიმართულების ფარგლებში დაუშვებელია პროგრამის ფარგლებს გარეთ უკვე არსებული სესხის რეფინანსირება/რესტრუქტურიზება, შესაბამისად ამ მიმართულებაზე არ ვრცელდება საკრედიტო სქემის ყველა ის მუხლი/პუნქტი რომელიც არეგულირებს საკრედიტო სქემაში სესხის რეფინანსირება/რესტრუქტურიზებას.

8. ამ მიმართულების ფარგლებში სესხის გაცემის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ პროგრამაში მონაწილე კომერციულ ბანკს, შესაბამისად ამ მიმართულებაზე არ ვრცელდება საკრედიტო სქემის ყველა ის მუხლი/პუნქტი რომელიც არეგულირებს საკრედიტო სქემაში სესხის გაცემას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ.

9. თუ კონკრეტულ სესხთან მიმართებით მსესხებელი ერთდროულად სარგებლობს ამ პროგრამის თანადაფინანსებისა და საგარანტიო მიმართულებებით, მის მიერ ასათვისებელი სესხის მაქსიმალური ჯამური მოცულობა განისაზღვრება 10 მლნ ლარით, მიუხედავად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი 5 მლნ ლარიანი ლიმიტისა.

10. პროგრამის ამ მიმართულების ფარგლებში მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალი მოცემულია არა საკრედიტო საგარანტიო სქემაში, არამედ ამ დადგენილების დანართ $N1^1$-ში.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

### საგრანტო მიმართულება

### მუხლი $12^{40}$. მიმართულების აღწერა

1.ამ პროგრამის სესხის/ლიზინგის კომპონენტის ბენეფიციარი უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სესხის/ლიზინგის საგნის ღირებულების 15%-ის, არაუმეტეს 500 000 ლარის ოდენობით, ანაზღაურების მოთხოვნით (გრანტის განაცხადი) თუ მის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა თავსდება ამ დადგენილების დანართი N9-ით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალში.

2.ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საგრანტო მიმართულების გამოყენების მსურველი ბენეფიციარი საგრანტო განაცხადით მიმართავს სააგენტოს, რომელიც თავის მხრივ განაცხადის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ახდენს გრანტის ბენეფიციარისათვის ჩარიცხვას მის მიერ განაცხადში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.სესხის კომპონენტის ბენეფიციარს საგრანტო განაცხადის წარდგენის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მას შემდეგ რაც მისი მხრიდან მოხდება ამ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სესხის არანაკლებ 50 %-ის ათვისება და აღნიშნული სესხის მიზნობრივი გამოყენების დამადასტურებელი აუდირებული დასკვნის სააგენტოსთვის წარდგენა (რომელშიც დეტალურად უნდა მიეთითოს სესხის ხარჯვის განხორციელებისას, კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის კოდი).

4.ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩასარიცხი გრანტის მოცულობა არის აუდირებული დასკვნის მიერ დადასტურებული ათვისებული სესხის თანხის პროპორციული.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული თანხის სააგენტოს მხრიდან ანაზღაურების შემდეგ დარჩენილი გრანტის ანაზღაურების შესაძლებლობა პროგრამის ბენეფიციარს აქვს ნებისმიერ დროს მეორე/საბოლოო აუდირებული დასკვნის წარდგენის შემთხვევაში, რა დროსაც დამატებით ასანაზღაურებელი გრანტის მოცულობა არის აუდირებული დასკვნის მიერ დადასტურებული ათვისებული სესხის თანხის პროპორციული.

6. თუ მსესხებლის მხრიდან ერთ ტრანშად ხდება სესხის ათვისება, აღნიშნული სესხის მიზნობრივი გამოყენების დამადასტურებელი აუდირებული დასკვნის სააგენტოსთვის წარდგენის შემთხვევაში, სააგენტო სრულად განახორციელებს ბენეფიციარისათვის გრანტის ჩარიცხვას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში.

7. ლიზინგის კომპონენტის ბენეფიციარს საგრანტო მიმართულების გამოყენების შესაძლებლობა აქვს მხოლოდ ლიზინგის საგნის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. თუ ერთი პროექტის ფარგლებში გაცემულია რამდენიმე ლიზინგის საგანი, ბენეფიციარს საგრანტო განაცხადის წარდგენის შესაძლებლობა აქვს მხოლოდ მას შემდეგ რაც მისი მხრიდან მოხდება ამ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული სალიზინგო პროექტის 50 %-ის ოდენობის ლიზინგის საგნის მიზნობრივი გამოყენების დამადასტურებელი აუდირებული დასკვნის სააგენტოსთვის წარდგენა (რომელშიც დეტალურად უნდა მიეთითოს კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის კოდი).

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 12[41]. მიმართულების დამატებითი პირობები**

ამ დადგენილების 12[40] მუხლით განსაზღვრული „გრანტი“ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ მიიჩნევა „გრანტად“.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 12[42]. პროგრამის განხორციელების ვადები**

1.ეს თავი ამოქმედდეს 2021 წლის 1 სექტემბრიდან.

2.ამ თავის შესაბამის მიმართულებებზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ამავე პროგრამით დადგენილი წესით, შესაბამისი განაცხადების სააგენტოში წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2021 წლის 15 დეკემბრით.

3. ამ პროგრამაში ცვლილების შეტანა, მათ შორის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება, შესაძლებელია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**მუხლი 12[43]. პროგრამის დამატებითი პირობები**

პროგრამის ბენფიციარი, რომელიც სარგებლობს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინსუსტრიული ნაწილითა და უნივერსალურ ინდუსტრიული ნაწილით, მის მიერ ჯამურად ათვისებული სესხის/სალიზინგო პროექტის ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს 10 მლნ ლარს.

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.*

**თავი II. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

**მუხლი 13. (ამოღებულია)**

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს  დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 14. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს  დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 15. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 16. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს  დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №587 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 17. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს  დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №587 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 ივნისის დადგენილება №291 - ვებგვერდი, 01.07.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 18. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 19. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 20. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს  დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის დადგენილება №164 – ვებგვერდი, 29.03.2019წ.*

მუხლი 21. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 22. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 23. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 24. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 25. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 აგვისტოს  დადგენილება №471 – ვებგვერდი, 07.08.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №587 - ვებგვერდი, 07.10.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 26. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

მუხლი 27. (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

**მუხლი 28.** (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება №403 – ვებგვერდი, 19.06.2014წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

**მუხლი 29.** (ამოღებულია)

*საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის დადგენილება №6 – ვებგვერდი, 23.01.2015წ.*
*საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.*
*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

## თავი III

## გარდამავალი დებულებები

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

**მუხლი 30**. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური საფრთხეების დაძლევის მიზნით, ამ დადგენილების I თავისა და დანართ №6-ის მიზნებისათვის დაწესდეს გარდამავალი პერიოდი.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

**მუხლი 31.** ამ თავის 30-ე მუხლით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდი განისაზღვროს 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.*

*საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 მაისის დადგენილება №242 – ვებგვერდი, 01.06.2021წ.*

**მუხლი 32.** ამ თავის 30-ე და 31-ე მუხლებით განსაზღვრული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ამ დადგენილებით დამტკიცებულ „სახელმწიფო პროგრამაში – „აწარმოე საქართველოში“:

1. პირველ მუხლში:

ა) პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) **სასტუმრო ინდუსტრია** – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის (საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-Iს დადგენილების ამოქმედებამდე არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში) ტერიტორიების გარდა, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე. პროგრამის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობა გულისხმობს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფოსგან იჯარით/ქირით/აღნაგობის უფლებით მიღებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და წარმოშობილია არანაკლებ კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სესხის/ლიზინგის საგნის გაცემიდან ბენეფიციარის მიერ პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ვადით დადებული ხელშეკრულებით;“;

ბ) „ო$^{1}$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო$^{1}$) **ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია** – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, დანართ №4-ით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე. პროგრამის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობა გულისხმობს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფოსგან იჯარით/ქირით/აღნაგობის უფლებით მიღებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელიც დასტურდება საჯარო

რეესტრის ამონაწერით და წარმოშობილია არანაკლებ კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სესხის/ლიზინგის საგნის გაცემიდან ბენეფიციარის მიერ პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ვადით დადებული ხელშეკრულებით;“;

**გ) „რ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ღ“ ქვეპუნქტი:**

**„ღ) რესტრუქტურიზებული სესხი** – „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრედიტი;“.

**ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“ ქვეპუნქტი:**

**„ყ) სალიზინგო პროექტის რესტრუქტურიზაცია** – საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 5 თებერვლის №18/04 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიზნებისათვის ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესის“ მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.“.

**2. მე-5 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. კრედიტის/ლიზინგის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ/რესტრუქტურიზებულ/ რეფინანსირებულ კრედიტზე/ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით.

3. კრედიტის/ლიზინგის მიმართულების ფარგლებში, პროგრამის ბენეფიციარი უზრუნველყოფს:

ა) ამ პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დაწყებას, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 3 წლისა, ხოლო არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში – პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 24 თვისა. საქმიანობის დაწყების დასახელებული ვადები ვრცელდება იმ მეწარმე სუბიექტებზეც, რომელთაც სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საქმიანობის დაწყების ვალდებულება უდგებათ 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში;

ბ) ამ პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიებში, საერთაშორისო ბრენდის გამოყენების შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებას კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) წლისა, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე, საქმიანობის დაწყებას ან/და, არსებულის გაფართოების/ გადაიარაღების შემთხვევაში, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლისა. საქმიანობის დაწყების დასახელებული ვადები ვრცელდება იმ მეწარმე სუბიექტებზეც, რომელთაც სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საქმიანობის დაწყების ვალდებულება უდგებათ 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით დამტკიცებული პროექტის შემთხვევაში, კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ კრედიტის პირველი ტრანშის/ლიზინგის საგნის გაცემიდან 3 წლის განმავლობაში წარმოების პროფილის შენარჩუნებას;

დ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებიდან ან/და არსებულის გაფართოების/გადაიარაღების დასრულების შემდგომ, 3 წლის განმავლობაში, საქმიანობის პროფილის შენარჩუნებას.

4. საერთაშორისო ბრენდის მიმართულება მოიცავს სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარისთვის საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისთვის ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან 36 (ოცდათექვსმეტი) თვის განმავლობაში დარიცხული და ამ პერიოდზე 41 (ორმოცდაერთი) თვის მანძილზე გადახდილი გადასახადის ანაზღაურებას არაუმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის ოდენობით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კალენდარული თვის განმავლობაში, სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თითოეულ საანგარიშო წელზე, წელიწადში არაუმეტეს 300 000 (სამასი ათასი) ლარისა, სააგენტოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ამ პროგრამით განსაზღვრული პირობებით. მხოლოდ იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებსაც საერთაშორისო ბრენდით საქმიანობა მოუწიათ 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, თუ ამ პუნქტით განსაზღვრული ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა აღემატება წელიწადში 300 000 (სამასი ათასი) ლარს, ამ პროგრამის საერთაშორისო ბრენდის გამოყენების მიმართულება გავრცელდება მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობაზე. საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისათვის პროგრამის ბენეფიციარის მიერ გადახდილი საფასურის სააგენტოს მიერ ანაზღაურება ხდება ეროვნულ ვალუტაში, პროგრამის ბენეფიციარის მიერ თანხის გადახდის დღისთვის ან სააგენტოს მიერ თანხის გადარიცხვის დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად, იმის მიხედვით, რომელიც არის უმცირესი.“.

3. მე-6 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინდუსტრიაში საქმიანობისთვის და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გარდამავალ პერიოდში კრედიტის დამტკიცებისა და სააგენტოს მიერ შესაბამისი დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული 36 (ოცდათექვსმეტი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, კრედიტის გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებულ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3 (სამი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 41 (ორმოცდაერთი) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 36 (ოცდათექვსმეტი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობისათვის ან/და არსებულის გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის, კომერციული ბანკის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გარდამავალ პერიოდში კრედიტის დამტკიცებისა და სააგენტოს შესაბამისი დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში ახორციელებს კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული 36 (ოცდათექვსმეტი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას კრედიტის გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებულ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3 (სამი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს კომერციული ბანკის მიერ გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, კრედიტის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან 41 (ორმოცდაერთი) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხის ვადა 36 (ოცდათექვსმეტი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული სესხის ვადით.“;

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„4. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“

ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებული საწარმოს გაფართოებისთვის/ გადაიარაღებისათვის, პროგრამის ბენეფიციარისთვის/პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, გარდა დანართი N1-ის განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის 56.10.0 და 56.30.0 კოდებისა, სადაც სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 10 000 ლარს.

– მაქსიმალური მოცულობა – 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს.“

ხსენებული მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან ნებისმიერ პერიოდში პროგრამაში ჩართულ პროგრამის ბენეფიციარს, რომლის მიმართ ამავე პუნქტით სესხის აღების მომენტში:

– არ არის დასრულებული სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი ან ამ პერიოდის დასრულების შემდგომ ბენეფიციარის მხრიდან მიმდინარეობს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულების ჯეროვნად შესრულება;

– უკვე დასრულებულია თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი და მისი მხრიდან ჯეროვნად შესრულებულია სააგენტოს წინაშე იმ კონკრეტული მომენტისათვის ნაკისრი ყველა ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბენეფიციარი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული III ან IV კატეგორიის საწარმოსთვის დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში და თუ მას არ გააჩნია სახელმწიფო მიმართ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მუხედავად იმისა, პროგრამის ამ ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობა თავსდება თუ არა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოქმედი დადგენილების დანართ №1-ის ჩამონათვალში.“;

**დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასტუმრო ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებული სასტუმროს გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის პროგრამის ბენეფიციარისთვის/პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;

– მაქსიმალური მოცულობა, კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში – 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე – 4,000,000.0 (ოთხი მილიონი) ლარს.

ხსენებული მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან ნებისმიერ პერიოდში პროგრამაში ჩართულ პროგრამის ბენეფიციარს, რომლის მიმართ, ამავე პუნქტით სესხის აღების მომენტში:

– არ არის დასრულებული სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი ან ამ პერიოდის დასრულების შემდგომ ბენეფიციარის მხრიდან მიმდინარეობს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ყველა ვალდებულების ჯეროვნად შესრულება;

– უკვე დასრულებულია თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი და მისი მხრიდან ჯეროვნად შესრულებულია სააგენტოს წინაშე იმ კონკრეტული მომენტისათვის ნაკისრი ყველა ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბენეფიციარი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული III ან IV კატეგორიის საწარმოსთვის დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში და თუ მას არ გააჩნია სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო

დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში.“;

**ე) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში საქმიანობის დასაწყებად ან/და არსებულის გაფართოებისათვის/გადაიარაღებისათვის პროგრამის ბენეფიციარისთვის/ პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტისთვის პირველად გაცემული კრედიტის:

– მინიმალური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს;

– მაქსიმალური მოცულობა, კრედიტთან ერთად, საერთაშორისო ბრენდის მიმართულების გამოყენების შემთხვევაში – 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს, ხოლო საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე – 5,000,000.0 (ხუთი მილიონი) ლარს.“;

**ვ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„9. ამ პროგრამის ფარგლებში, ამ მუხლის მე-4 (გარდა დანართი N1-ით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობის 56.10.0 და 56.30.0 კოდებისა, სადაც 10 000 ლარიდან 50 000 ლარის ჩათვლით სესხის აღების შემთხვევაში შესაძლებელია სესხის სრული ოდენობა გაიცეს როგორც საბრუნავი, ან/და კაპიტალური დანახარჯების გასაწევად) მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული კრედიტი კომერციული ბანკის მიერ გაიცემა შემდეგი მიზნობრიობით:

ა) წარმოებისათვის/საქმიანობისათვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების გასაწევად – კრედიტის მოცულობის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პროცენტისა;

ბ) საბრუნავი საშუალებების შესაძენად – კრედიტის მოცულობის არაუმეტეს 50 (ორმოცდაათი) პროცენტისა.“;

**ზ) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**ზ[1]) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„11. სააგენტო კომერციული ბანკის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გაცემულ კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე გადარიცხვით, სესხის მომსახურების გრაფიკის შესაბამისად, თუ ბენეფიციარის მხრიდან სრულად და დროულად არის შესრულებული საანგარიშო თვის განმავლობაში გადასახდელი სესხის ძირისა და დარიცხული მისი წილი საპროცენტო სარგებლის (სააგენტოს თანადაფინანსების გარეშე) გადახდის ვალდებულება. ბენეფიციარის სესხის მომსახურების გრაფიკის შესაბამისად, წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად, გადარიცხული თანხის მიმართვის ვალდებულება ეკისრება კომერციულ ბანკს. კომერციული ბანკი ვალდებულია, სააგენტოს წილი ვალდებულების (თანადაფინანსების) ბენეფიციარისათვის დაფარვის შემდეგ, სატრანზიტო ანგარიშზე თანხის დარჩენის შემთხვევაში, ნაშთი დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს.“„

**თ) მე-12 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) კომერციული ბანკის ან სხვა კომერციული ბანკის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში აღებული მიმდინარე კრედიტის რესტრუქტურიზების/რეფინანსირების შემთხვევაში, კრედიტზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა იზრდება 12 თვით (მიუხედავად იმისა, ბენეფიციარი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიცირდება თუ არა მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში ან/და აქვს თუ არა სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო დავალიანება ან/და რეგისტრირებულია თუ არა მოვალეთა რეესტრში), შესაბამისად იზრდება სააგენტოს მიერ თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის

თავდაპირველი მოცულობა ნამეტი 12 თვის განმავლობაში სესხის პროცენტის თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის ოდენობის პროპორციულად. ამასთან, აღნიშნული არ ვრცელდება გარდამავალი პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში აღებული სესხების პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურიზებისას/ რეფინანსირებისას;“;

ი) მე-12 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სხვა კომერციული ბანკის მიერ კრედიტის რეფინანსირების/რესტრუქტურიზების შემთხვევაში არ უნდა იზრდებოდეს სესხის საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, თუ ხდება პროგრამის ფარგლებში ადრე აღებული რამდენიმე სესხის დაფარვა/გადაფარვა, კომერციული ბანკი ვალდებულია, რეფინანსირებული/რესტრუქტურიზებული სესხი გასცეს დაფარული/გადაფარული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთში;“.

კ) მე-12 პუნქტს დაემატოს „თ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„თ) სხვა კომერციული ბანკის მიერ კრედიტის რეფინანსირების/რესტრუქტურიზების შემთხვევაში არ უნდა იზრდებოდეს სესხის საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, თუ ხდება პროგრამის ფარგლებში ადრე აღებული რამდენიმე სესხის დაფარვა/გადაფარვა, კომერციული ბანკი ვალდებულია, რეფინანსირებული/რესტრუქტურიზებული სესხი გასცეს დაფარული/გადაფარული სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთში;“.

4. $6^1$ მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტო, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოცულობების ფარგლებში, უზრუნველყოფს ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის გარდამავალ პერიოდში სააგენტოს დადასტურების შემთხვევაში ლიზინგის საგნის მიღება-ჩაბარების შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული 36 (ოცდათექვსმეტი) თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, ლიზინგის საგნის გაცემის დღეს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებულ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთისა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 41 (ორმოცდაერთი) თვის განმავლობაში. ამასთანავე, თუ ლიზინგის გამცემის მიერ გაცემული ლიზინგის საგნის დაფინანსების 36 (ოცდათექვსმეტი) თვეზე ნაკლებია, სააგენტო განახორციელებს გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას გაცემული ლიზინგის საგნის ვადით.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის ფარგლებში ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ერთ ბენეფიციარზე/პროგრამაში ჩართვის მსურველ მეწარმე სუბიექტზე გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულების მინიმალური მოცულობა პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიებში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50,000.0 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური ჯამური მოცულობა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ უნდა აღემატებოდეს 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს. პროგრამის ფარგლებში დასაშვებია ისეთი პარალელური ლიზინგი, რომლის დროსაც ხდება ერთ პროგრამის ბენეფიციარზე ერთსა და იმავე ინდუსტრიაში რამდენიმე სალიზინგო პროექტის გაცემა, თუკი ლიზინგის საგნის ღირებულებათა ჯამური მოცულობა მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინდუსტრიაში არ აღემატება 10,000,000.0 (ათი მილიონი) ლარს. ხსენებული მაქსიმალური ლიმიტის ფარგლებში, პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა აქვს სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან ნებისმიერ პერიოდში პროგრამაში ჩართულ პროგრამის ბენეფიციარს, რომლის მიმართ, ამავე პუნქტით ლიზინგის საგნის აღების მომენტში:

– არ არის დასრულებული სააგენტოს მიერ თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი ან ამ პერიოდის დასრულების შემდგომ, ბენეფიციარის მხრიდან მიმდინარეობს სააგენტოს წინაშე ნაკისრი

ყველა ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, მიუხედავად იმისა, პროგრამის ამ ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობა თავსდება თუ არა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოქმედი დადგენილების დანართ №1-ის ჩამონათვალში;

– უკვე დასრულებულია თანადაფინანსების ოცდაოთხთვიანი პერიოდი და მისი მხრიდან ჯეროვნად შესრულებულია სააგენტოს წინაშე იმ მომენტისათვის ნაკისრი ყველა ვალდებულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბენეფიციარი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული III ან IV კატეგორიის საწარმოსთვის დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში და თუ მას არ გააჩნია სახელმწიფო მიმართ საგადასახადო დავალიანება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგადასახადო დავალიანების გადახდევინება გადავადებულია ან მისი გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე) ან/და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მიუხედავად იმისა, პროგრამის ამ ბენეფიციარის ეკონომიკური საქმიანობა თავსდება თუ არა გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მოქმედი დადგენილების დანართ №1-ის ჩამონათვალში.“;

**გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;**

**გ$^1$) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. სააგენტო ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის დადგენილ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ამ დადგენილების $6^1$ მუხლის $2^1$ პუნქტის შესაბამისად გახსნილ სატრანზიტო ანგარიშზე გადარიცხვით, შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, თუ ბენეფიციარის მხრიდან სრულად და დროულად არის შესრულებული საანგარიშო თვის განმავლობაში გადასახდელი ლიზინგის საგნის ღირებულებისა და მასზე დარიცხული მისი წილი საპროცენტო სარგებლის (სააგენტოს თანადაფინანსების გარეშე) გადახდის ვალდებულება. ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის დარიცხვის გრაფიკის შესაბამისად, წარმოშობილი ვალდებულების დასაფარად, გადარიცხული თანხის მიმართვის ვალდებულება ეკისრება ლიზინგის გამცემს. ლიზინგის გამცემი ვალდებულია, სააგენტოს წილი ვალდებულების (თანადაფინანსების) ბენეფიციარისათვის დაფარვის შემდეგ, სატრანზიტო ანგარიშზე თანხის დარჩენის შემთხვევაში, ნაშთი დააბრუნოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს სააგენტოს.“.

**დ) მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) გაცემული მიმდინარე სალიზინგო პროექტის იმავე ან სხვა ლიზინგის გამცემის მიერ რეფინანსირების/რესტრუქტურიზების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი ვალდებულია, გამოიყენოს არა უმეტეს ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, თუ ხდება პროგრამის ფარგლებში ადრე გაცემული რამდენიმე სალიზინგო პროექტის დაფარვა/გადაფარვა, ლიზინგის გამცემი ვალდებულია, გამოიყენოს დაფარული/გადაფარული სალიზინგო პროექტების ფარგლებში ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი;“;

**ე) მე-8 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სალიზინგო პროექტის რეფინანსირების/რესტრუქტურიზების შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსებისათვის განსაზღვრული თავდაპირველი ვადა იზრდება დამატებით 12 თვით (მიუხედავად იმისა, ბენეფიციარი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კვალიფიცირდება თუ არა მე-3 ან მე-4 კატეგორიის საწარმოდ, მხოლოდ საწარმოს შემოსავლის კომპონენტში ან/და აქვს თუ არა სახელმწიფოს მიმართ საგადასახადო დავალიანება ან/და რეგისტრირებულია თუ არა მოვალეთა რეესტრში), შესაბამისად, იზრდება სააგენტოს მიერ თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის თავდაპირველი მოცულობა ნამეტი 12 თვის განმავლობაში ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსების სახით გადასახდელი თანხის ოდენობის პროპორციულად. ამასთან, აღნიშნული არ ვრცელდება გარდამავალი პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაცემული სალიზინგო პროექტის

რესტრუქტურიზებისას/რეფინანსირებისას;“;

**5. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დანართი №1

| ობიექტის კოდი | | დასახელება |
|---|---|---|
| A | 03.11.0 | საზღვაო თევზჭერა |
| A | 03.21.0 | საზღვაო აკვაკულტურა |
| C | 10.84.0 | სუნელ-სანელებლების და საკაზმ-სანელებლების წარმოება |
| C | 10.92.0 | მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის |
| C | 11.07.1 | მინერალური წყლების წარმოება |
